# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 ივლისი 2003 №134 (1905) | ფასი 50 თეთრი


## თამაში გაშიშვლებაზეა
## ტირანა კარგი შესატევია



ზოგადად ისეა, რომ საპასუხო მატჩს პირველ შეხვედრაზე მეტი ღელვა ახლავს, რამეთუ ამის მერე უკვე ვეღარაფერს გამოასწორებ. მაგრამ, ცხადია, გვხვდება კერძო შემთხვევებიც, რომელთა რიგსაც ხვალინდელი „ტირანა" — „დინამოც" უნდა მივაკუთვნოთ.

კი, ივო შუშაკმა ალბანეთში გამგზავრებამდე გამართულ ბოლო პრესკონფერენციაზე თქვა, მეტოქეს დამარცხებულად ჯერ არ ვთვლითო და მართალიცაა, მაგრამ ასევე მართალია ის გულშემატკივარიც, რომელიც უკვე დღეს ჩემპიონთა ლიგის მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე და ავსტრიულ „გრაცერზე" ფიქრობს. უბრალოდ, მწვრთნელი და გულშემატკივარი ყოველთვის განსხვავებული თვალით უყურებენ ერთსა და იმავე მოვლენას.

თუმც ისიცაა, რომ „დინამოც" და გულშემატკივარიც ხვალინდელ მატჩს ერთნაირი განწყობით მოელის.

„დინამო" ტირანაში სწრაფ ტემპში და ორი ფორვარდით ითამაშებს, ალბანელთა სიმშვის განელებას გოლით ეცდება, ხოლო დაცვას თავდასხმიდან დაიწყებს, ანუ ანგარიშის ვაი-ვაგლახით შენარჩუნებას გულშიც არ გაივლებს და გულშემატკივრის სურვილიც ხომ ეგ არის.

მაგრამ ჩვენ სხვა სურვილიც გვაქვს — „დინამომ" ისე ითამაშოს, „გრაცერის" შიში აღარ გვქონდეს. არადა, დაგვეთანხმებით, „ტირანასთან" თბილისური მატჩის მერე სწორედ ამგვარი შიში გაგვიჩნდა.

ამის თაობაზე კი შუშაკმა ფრიად დამაიმედებელი რამ თქვა, თბილისში ბევრი გოლის გატანა დავგეგმეთ, რის გამოც ზურგი ძალაუნებურად მოგვიშიშვლდაო. ლოგიკური განმარტებაა და იმედი გვაქვს, სწორიც.

და ისიცაა, რომ თბილისური მატჩი საქართველოს ჩემპიონისთის ახალ სეზონში პირველი ოფიციალური იყო და „გრაცერის" ჯერი რომ მოვა, ორმატჩიანი პრაქტიკა ექნება გავლილი.

„დინამო" ალბანეთში დღეს დილას გაემგზავრა, ჩვენი კორესპონდენტის თვალით ნანახ ჩასვლა-დახვედრის ამბებს კი ხვალინდელ „სარბიელში" იხილავთ.

## კამპ ნოუზე იმედი მივიდა: რონალდინიო

გუშინ ზღვა ხალხი მიაწყდა „კამპ ნოუს", ასე, 30 ათასი კაცი იქნებოდა. ცხადია, შუა ზაფხულში, როცა გუნდი არ თამაშობს, ამდენ ხალხს სტადიონზე მხოლოდ ხმაურიანი ტრანსფერი მიიყვანდა.

მივიდნენ და ნახეს, როგორ გაიარ-გამოიარა რონალდინიომ „კამპ ნოუს" ბალახზე და ბურთი ხან ფეხზე მოიგდო და ხან თავზე.

ხალხმა ისიც შენიშნა, რომ რონალდინიოს 10-ნომრიანი მაისურა ეცვა და გაიხსენეს, რომ წინა სეზონში „ბარსელონას" მე-10 ნომერი ხუან რომან რიკელმე იყო, რომელიც არაევროკავშირელთა ლიმიტის გადაჭარბების გამო „ბარსადან" მიდის.

ხოლო რონალდინიოს პრეზენტაციის იმ ნაწილს, რომელიც „კამპ ნოუს" საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართა, ამ 30 ათასმა კაცმა მოედანზე დადგმულ უზარმაზარ ეკრანზე უყურა.




რონალდინიო და „ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა

# მერაბ ჟორდანია
# შუშაკი ახლა შალტერნატივოა
# მერე კი პლატინი იტყვის

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ლიხტენშტაინში უეფას წევრი ქვეყნების მორიგ შეკრებაზე მიემგზავრება.*

*შაბათს საქართველოს მე-15 ჩემპიონატი იწყება, იწყება ახლებურად, ახალშექმნილ პროფესიულ ლიგასთან ერთად.*

*დასანიშნია ეროვნული გუნდის მწვრთნელი, უკვე ჩაფლავებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გამსრულებელი და სამომავლო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევისთვის ნაკრების გამძღოლი.*

*რა დოზით ჩაერევა ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთის ფედერაცია? ახალ სეზონში რა პროექტების წარდგენას აპირებს დასაფინანსებლად ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელობა უეფაში? ვინ გაწვრთნის, რამდენი ხნით, საქართველოს ნაკრებს?*

*ამ კითხვებზე მერაბ ჟორდანია გვპასუხობს...*



[illegible] ფოტო

— ვფიქრობ, კარსმომდგარი ჩემპიონატი წინანდელზე უკეთესი იქნება. შარშანდელთან შედარებით გამოსწორდა რამდენიმე გუნდის ფინანსური მდგომარეობა, ვინც შედარებით წელგამართული იყო, მათი ბიუჯეტიც გაზრდილია. გუნდებმა შემადგენლობები გააძლიერეს, სეზონისთვის უწინდელზე სერიოზულად ემზადებიან. შვიდი-რვა გუნდი, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, შეგვიძლია პრიზიორობის კანდიდატად ჩავთვალოთ, ისინი ერთმანეთს არაფერს დაუთმობენ. ეს კი ჩვენი ფეხბურთის განვითარების წინაპირობაა, ფეხბურთელთა დონე ამაღლდება, ნაკრებში მიწვეულთა რაოდენობა გაიზრდება. ეროვნული გუნდი კი ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

— უკვე შეიქმნა პროფესიული საფეხბურთო ლიგა. მართალია, ამ ჩემპიონატს ლიგა ფედერაციასთან ერთად ჩაატარებს, მაგრამ დრო მოვა და ფედერაცია ეროვნული ჩემპიონატისგან, ალბათ, განზე გადგება. წლეულს რა დოზით ჩაერევა ფედერაცია ლიგის საქმიანობაში?

— მოდით, ჯერ ეს ვთქვათ: არავინ ჩათვალოს, რომ ლიგის შექმნით ფედერაციამ ყველაზე რთული საქმე ჩამოიშორა. ფედერაცია ძველებურად ყველა კლუბთან ითანამშრომლებს და შეძლებისდაგვარად ეცდება მათ დახმარებას.

პროფესიული ლიგის ჩამოყალიბება კი თავისთავად პროგრესული ნაბიჯია, განვითარებისთვის აუცილებელი. ლიგის პრინციპი იგივე უნდა იყოს, რითაც უეფა ხელმძღვანელობს — სოლიდარობა. მდიდარი გაჭირვებულს უნდა დაეხმაროს, პრობლემები ერთად მოგვარდეს, ყველამ ერთი მიმართულებით იაროს და არა ცალ-ცალკე. ლიგა — ესაა სოლიდარობა. ერთმანეთის შეწევნით ყველა მოგებული დარჩება. კლუბებზეა თითქმის ყველაფერი დამოკიდებული, მათი აქტიურობის გარეშე არაფერი გამოვა. პრობლემები მარტო ფედერაციაში არ უნდა მოგვარდეს, თითოეულის დახმარება, სიტყვაა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად. ფედერაცია ყოველმხრივ ეცდება, ლიგას დაეხმაროს. საორგანიზაციო, საკადრო თუ სხვა საკითხები იქნება, ჩვენ კლუბების გვერდით ვიქნებით. ლიგის ხელმძღვანელთა და კლუბების შეთანხმებული მუშაობით, გარწმუნებთ, ეროვნული ჩემპიონატის დონე ერთი ორად ამაღლდება.

**— შარშან ამ დროს საკითხავი იყო, ჩემპიონატს რამდენი გუნდი დაიწყებდა. ზოგიერთი გუნდი პრინციპულად არ იხდიდა ჩემპიონატში სამონაწილეო თანხას, ფედერაცია კი მათი მოკვეთით იმუქრებოდა. უკვე მოახლოვდა საწევროების გადახდის დრო. როგორაა საქმე? თქვენ დღეს-ხვალ უეფას შეკრებაზე მიემგზავრებით. თორმეტივე გუნდი დაიწყებს ჩემპიონატს?**

— ყველაფერი კარგადაა. შარშანდელი დაპირისპირება ფედერაციასა და ზოგ კლუბს შორის წინასაარჩევნო კამპანიამ მოიტანა. აგვისტოს ყრილობისას ფედერაციის ეს შემადგენლობა რამდენიმე გუნდისთვის მიუღებელი იყო, ამიტომაც თანხის არ გადახდით ჩვენს საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამდნენ.

ამჟამად, არა მგონია, უმაღლეს ლიგაში მონაწილეთაგან ვინმეს საწევროს გადახდის პრობლემა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი მსმენია. პირიქით, როგორც ვთქვი, ზოგიერთი კლუბის ბიუჯეტი, ჩემი ინფორმაციით, შარშანდელთან შედარებით გაიზარდა. ჩემპიონატი რეგლამენტის შესაბამისად დაიწყება. ერთიცაა: საბოლოოდ არ მოწესრიგებულა ფედერაციისა და თბილისის „ლოკომოტივის“ ურთიერთობა. რკინიგზელებს ჩვენი 200 ათასი ლარი მართებთ, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარებული სანაკრებო მატჩების საფასური. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მითხრა, ეს პრობლემაც მოგვარების პირასაა. „ლოკომოტივმა“ თანხის ორი მესამედი უკვე გადაიხადა, დანარჩენსაც, ალბათ, მალე მივიღებთ.

**— ახალი სეზონისგან რა სიახლეს ველოდოთ? რას ეტყვის ფედერაციის პრეზიდენტი ქომაგს?**

— მიუხედავად იმისა, რომ მე და გენერალური მდივანი ჩემპიონატის რეგლამენტში ცვლილებების წინააღმდეგნი ვიყავით, აღმასკომმა ინება და გადაწყვიტა, რომ უმაღლესიდან ორი გუნდი პირდაპირ გავარდეს, ორიც, უმაღლესში ადგილისთვის პირველი ლიგის მესამე-მეოთხეს გაეჯიბროს. ასევე აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ პირველი ლიგადან ხუთი გუნდი დაქვეითდეს. ახსნა მარტივია, ასეთი სისტემა ჩემპიონატს დაძაბულობას შემატებს.

ჩვენი ამოსავალი წერტილი ბავშვთა ფეხბურთია. კარგია, რომ უკვე შექმნილია და გამართულად მუშაობს ბავშვთა რამდენიმე საფეხბურთო სკოლა. ინვესტორები ნელ-ნელა ინტერესდებიან. ფედერაცია კი ახალი წლიდან სერიოზული პროექტის განხორციელებას დაიწყებს: მთელს საქართველოში მოვაწყობთ მინი-ფეხბურთის ხელოვნურსაფრიან მოედნებს, რომლებიც წუთით არ მოცდება. ბავშვებს ვარჯიში, უფროსებს თამაში დღე-ღამით შეეძლებათ, გავაკეთებთ განათებას, მოვაწესრიგებთ მიმდებარე ტერიტორიებს და ისეთ გარემოს შევქმნით, ხალხს ფეხბურთს რომ ათამაშებს. ასე დაიწყო თურქული ფეხბურთის აღორძინებაც.

ბათუმში ვაპირებთ, უეფას სტანდარტების შესაბამისი სინთეტიკურსაფარიანი მოედნის გაკეთებასაც. ეს საკითხი ჩემი ბათუმში სტუმრობისას უკვე გადავწყვიტეთ. თავად ბათუმელები მოედანს თუ ტრიბუნებით დაამშვენებენ და სტადიონს გააწყობენ, შესაძლებელი იქნება ამ მოედანზე ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩატარება. ეგაა, ახლა ასეთი მოედნისთვის ბათუმში შესაბამისი ადგილია მოსაძებნი.

ამჟამად ამ პროექტების დახვეწა მიმდინარეობს და უეფას დასაფინანსებლად ახალი წლისთვის წარვუდგენთ. არა მგონია, უეფასგან უარი მივიღოთ. იქამდე კი საქმეს ჩვენი ძალებით დავიწყებთ. რაც ჩამოვთვალე, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის, ეროვნული გუნდის წარმატებისთვის აუცილებელია.

**— ეროვნული გუნდი კი ამჟამად უმწვრთნელოდაა. რას გვეტყვით, ვინ იქნება ნაკრების თავკაცი?**

— ალბათ, ივო შუშაკი. მას უკვე შევხვდით. ჩვენი სურვილია, რომ ამ ეტაპზე სწორედ მან ჩაიბაროს გუნდი. შუშაკი წინააღმდეგი არაა, თუმც ჯერ ადრეა გამოვაცხადო, რომ იგი ნაკრების მწვრთნელია. ველით „დინამოს“ პატრონის თანხმობას. ეს ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობაა: როცა კაცს სამუშაოს სთავაზობ, მისი პატრონისგან ნებართვა უნდა აიღო. ვიცი, რომ „დინამოს“ პატრონს ჩვენი სურვილი უკვე აცნობეს და ვიმედოვნებ, მას შუშაკთან დაკავშირებით მალე შევხვდებით.

**— ამ ეტაპზეო, თქვით. რა ეტაპს გულისხმობთ, როდემდე ჩააბარებთ ნაკრებს შუშაკს?**

— გვსურს, მან ეს შესარჩევი ციკლი ჩაამთავროს. კარგი იქნება, თუ მომავალი შესარჩევი მატჩებისთვისაც გუნდს შუშაკი მოამზადებს, თუმც ეს ახლა არაა სალაპარაკო. დეკემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრაა და მეტოქეთა გათვალისწინებით მწვრთნელზე საბოლოო არჩევანსაც მაშინ გავაკეთებთ.

**— როცა მწვრთნელზე ფიქრობდით, შუშაკის გარდა სხვა კანდიდატურას თუ განიხილავდით?**

— არა, სერიოზული კანდიდატურა სხვა არავინ იყო. ისე კი, მწვრთნელის თაობაზე გარკვეული კონსულტაციები მიშელ პლატინისთან მქონდა, მან დრო ითხოვა, დეკემბერში ვისაუბროთო.

**— ივო შუშაკმა საქართველოს ნაკრები უკვე ორჯერ ათამაშა. თქვენი აზრი...**

— მწვრთნელის დონესა და კლასს ორი თამაშით ვერ შეაფასებ, თუმც შუშაკის მუშაობას „დინამოშიც“ ვაკვირდებოდი. „დინამოს“ შედეგებმა, გუნდში მიმდინარე პროცესებმა, ფეხბურთელებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობამ ამ მწვრთნელზე გარკვეული წარმოდგენა შემიქმნა, რისი გათვალისწინებითაც ვთვლი, რომ შუშაკი სერიოზული სპეციალისტია.

**კობა ინასარიძე**

# ყველა ჩემი სამშობლოა...
## სიონმა ქართლ-კახეთი მოიარა

**უეფას თასის** პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მომლოდინე „სიონი“ ლაგოდეხური შეკრებიდან 18 ივლისს დაბრუნდა.

თემურ მახარაძემ შეგირდებს სულის მოთქმა არ აცალა და 20 ივლისს გორს აწვია. ამ პერიოდის კვალობაზე „დილა“ — „სიონი“ ურიგო სანახავი არ იყო, გვითხრეს თვითმხილველებმა. თამაში ფრედ, 1:1 დასრულდა. სტუმართაგან თავი ვეტერანმა გაბისკირიამ გამოიჩინა, საპასუხო გოლი კი გორში ახლახან დაბრუნებული ფორვარდის ძოძუაშვილის ანგარიშზეა.

თემურ მახარაძემ „სიონი“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ა. ლაბაძე, ჭიჭველიშვილი, ხუჯაძე, კვეკვესკირი, გაბიდაური, დაუშვილი, ისიანი, ი. შენგელია, გუჩუა, გ. შენგელია, სვანიძე;* მეორე ტაიმში კი ვოლკოვმა, გაბისკირიამ, გონჩაროვამ, წიწვიძემ, ვარამაშვილმა და კოჭაძემ ითამაშეს.

„სიონი“ ახლა წვრთნას თბილისში აგრძელებს, ბოლნისში ზეგ მიემგზავრება და ჩემპიონატის განახლებამდე სამდღიანი შეკრებით საახალსეზონო მზადებას ჩაამთავრებს. მეთხუთმეტე ჩემპიონატის პირველ მატჩს ბოლნისელები 28 ივლისს თბილისში, „ლოკომოტივთან“ ითამაშებენ.

**მამუკა ქვანტალიანი**



იური გაბისკირია

**გერმანია**

ლიგის თასის ნახევარფინალი

შტუტგარტი 0:1 დორტმუნდი

**ნორვეგია**

XIII ტური

ვოლერენგა 0:2 ბრანი

**შვედეთი**

XIV ტური

იურგორდენი 3:0 იორგრიუ

ჰელსინგბორგი 0:2 ჰამარბი

მალმიო 0:0 ელფსბორგი

# დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან...

**„ვიტ ჯორჯიამ“** სეზონისწინა შეკრება დაასრულა და ახალი ჩემპიონატის მოლოდინშია. ვიტელებმა 12-დღიანი შეკრება სასტუმრო „საირმეში“ გაიარეს და „შევარდენზე“ ვარჯიშობდნენ.

„ვიტ ჯორჯია“ სამმა ფეხბურთელმა რომ დატოვა, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. კლუბის ბომბარდირმა ლევან მელქაძემ, აწ უკვე დინამოელმა, „ტირანასთვის“ გოლის გატანაც მოასწრო, დანარჩენი ორის საქმე კი წერტილდაუსმელი წინადადებასავითაა.

უკრაინაში აბარგებულ ოლეგ გველესიანს დონეცკელებმა ბინა უქირავეს, ხელფასი მისცეს, კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ ოლეგი ჯერაც ვერ თამაშობს. მიზეზი სატრანსფერო ფურცელია. „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძის განცხადებით, დონეცკელებთან ყველა საკითხი თითქმის გარკვეულია და მათგან სატრანსფერო ფურცლის მოთხოვნას ყოველდღე ელიან.

გიორგი ყიფიანი ორი წლით ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ დაუკავშირდა, თუმც ჯერჯერობით ძისიც ვერ თამაშობს. მიზეზი აქაც იგივე საბუთია. როგორც შევიტყვეთ, გიორგის „სპარტაკ-ალანიაში“ პატარა პრობლემები შექმნია, თუმც საგანგაშოც არაფერიაო, ირწმუნებიან მის საქმეში ჩახედულები.

**მამუკა ქვანტალიანი**

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას,**
**გაზეთ „სპორტის“ თანამშრომელს ლაშა თაბაგარს**
**მამის**
**გარდაცვალების გამო**

*თბილისის „დინამოსთვის" ეს უკვე ტრადიციაა – ყოველი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ღია ვარჯიში. გუშინაც ასე იყო. ტირანაში გამგზავრებამდე თბილისელებმა ვარჯიშს დაგვასწრეს, მწვრთნელმა ივო შუშაკმა კითხვებზე გვიპასუხა, ამ დილით კი გუნდი ტირანაში ჩარტერული რეისით გაფრინდა*

# მთავარი თავია!

## შუშაკი ტირანაში ნაცრისფერი ნივთიერების იმედზეა



ივო შუშაკი მეორე, ტირანული ტაიმისთვის ემზადება

**ვარჯიში,** როგორც მერე შუშაკმა თქვა, ზუსტად 75-წუთიანი იყო. ტემპი — აი, უმთავრესი, რასაც მწვრთნელი ითხოვდა შეგირდებისგან. ბიჭებიც ბეჯითად ასრულებდნენ დამრიგებლის მითითებებს და ენერგიულად ვარჯიშობდნენ. წინა ოთხშაბათს მოგებული 3:0-ის მიუხედავად, გუნდი „ტირანას" დამარცხებულად ჯერაც არ თვლის და ხვალინდელი შეხვედრისთვის სერიოზულად ემზადება. პრესკონფერენციაზეც ივო შუშაკმა პირველ ყოვლისა ეს თქვა, „დინამო" ტირანაში უდიდესი მოტივაციით მიემგზავრება და წამით მოდუნების უფლებას არავის მივცემო. მწვრთნელმა წამსვლელთა 20-კაციანი სია ჩაიკითხა და განაგრძო...

... საბედნიეროდ, იმ შემადგენლობიდან, რომლითაც თბილისში ვითამაშეთ, ყველა ჯანმრთელია. ტირანაში ოცი ფეხბურთელი მიგვყავს, აქედან სამი მეკარე. თბილისში დარჩებიან ექონია და ტესერი, ისინი აქ ივარჯიშებენ. ალბანეთში დიდი ბრძოლა გველის. ნუ დავმშვიდდებით, ჯერ მხოლოდ პირველი ტაიმი მოვიგეთ, მეორე კი ტირანაში იქნება. ფეხბურთის მცოდნედ ვერ ჩავთვლი მას, ვისაც, „ტირანა" არაფრისმთქმელ გუნდად მიაჩნია. ალბანური ფეხბურთი დასაფასებელია. ხუთი წლის წინ „დინამომ" ალბანურ „ვლაჟნიას" თბილისში 1:0 მოუგო, საპასუხო კი 1:3 წააგო. ამ შედეგს იმიტომ ვიხსენებ, რომ ვთქვა, მეტოქე პატივსაცემია.

... „ტირანასთან" მატჩის სასტარტო შემადგენლობა, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ზუსტად ისეთივე იქნება, როგორითაც თბილისური შეხვედრა დავიწყეთ. აუცილებლად ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ და გოლის გატანას ვეცდებით. ჩვენ ველით, რომ „ტირანა" თავიდანვე გააფთრებით შემოგვიტევს და ვა-ბანკზე წავა. ასეთი თამაშით ალბანელები სივრცეების შეზღუდვას ველარ მოახერხებენ და ჩვენს შემტევებს მეტი თავისუფლება ექნებათ. „ტირანას" საწყის შტურმს უნდა გავუძლოთ და თუ პირველ ნახევარ საათში ერთი-ორი მომენტი შევქმენით, მატჩს ჩვენს სასარგებლოდ დავამთავრებთ.

– „დინამოს" დაცვასა და შუა ხაზში ეროვნული გუნდის ხუთი წევრი თამაშობს. თბილისურ მატჩში გოლების გატანა გვჭირდებოდა და ბევრს ვუტევდით, ამიტომაც მცველებს და ნახევარმცველებს მეტოქის შეტევისას ერთმანეთის დაზღვევა უგვიანდებოდათ. მათზე გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელებს გაუჭირდებოდათ ასეთი მატჩისას უშეცდომოდ თამაში. ტირანაში ჩვენი დაცვა თავდასხმიდან დაიწყება, ალბანელთა შეტევების რაოდენობა და სიმწვავე ახალაიამელქაძის დუეტზეც იქნება დამოკიდებული. მათ მეტოქე მოედნის მათსავე ნახევარზე უნდა შეაბრკოლონ.

... დღეს ფეხბურთელებმა ზუსტად 75 წუთი აქტიურად ივარჯიშეს. ნორმალურია, რომ თამაშამდე ორი დღით ადრე გუნდმა ასეთი დატვირთვა მიიღოს.

... წითელ-ყვითელი ბარათები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. წინასწარ ვერ განსაზღვრავ, მსაჯი გაგაფრთხილებს თუ არა, თუმც ისიც დამღუპველია, ბარათებზე არ იფიქრო. „ტირანასთან" მიღებული ყვითელი ბარათისთვის ხიზანეიშვილი დავაჯარიმეთ. ასევე გავაგრძელებთ. ფეხბურთელმა ერთი უაზრო ქცევით შეიძლება გუნდი დაალალატოს. ეს ჩვენთვის საყურადღებოა.

... ტირანაში მატჩისას უმთავრესი გონიერება იქნება. ვისაც ჭკუა ეყოფა, დუელს ის მოიგებს. მჯერა ჩემი გუნდის, მჯერა, ჩვენ მეტი ჭკუა გვაქვს და შემდეგ ეტაპზე ჩვენ ვითამაშებთ.

პრესკონფერენცია დიდხანს არ გაგრძელებულა, ივო შუშაკი ვარჯიშმოლეულ შეგირდებს შეუერთდა და წარმატების იმედით დაგვემშვიდობა.

„დინამო" კი ტირანაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: *ზოიძე, მამალაძე, გვარამაძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, ბურდული, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ანჩაბაძე, მელქაძე, ახალაია, კანდელაკი, წერეთელი, სახვაძე, კარლოსი, იაშვილი, სამხარაძე, ბობოხიძე.*

**კობა ინასარიძე**



ლევან მელქაძემ ტირანელები ერთხელ უკვე გაამწარა



ბრაზილიელი ტესერი ბეჯითად კი ვარჯიშობს, მაგრამ მისი ჯერი ჯერ არ დამდგარა



# შოტლანდიელებს ყელი გაუშრათ

## კაპიტანი არნახულად მოგვიქანცეს

**გიორგი ნემსაძე** და „დანდი" დღეიდან შოტლანდიაში განაგრძობენ დამდეგი სეზონისთვის მზადებას. გუშინ კი საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს ამერიკაში შევეხმიანეთ და იქ გატარებული მოსამზადებელი ეტაპის ამბები გამოვკითხეთ.

— ატლანტასთან ახლოს, ერთ-ერთ პატარა ქალაქში დავბინავდით. სავარჯიშო ბაზაზე ავტობუსით დავდიოდით. ყველანაირი პირობები გვქონდა მოსამზადებლად. ერთი ეგაა, სიცხემ ძალიან შეგვაწუხა. ტემპერატურა ლამის 50 გრადუსს აღწევდა.

— სამი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ. ამერიკულ გუნდებს 5:1 და 6:2 მოვუგეთ, ჰონდურასულთან კი 1:1 ვითამაშეთ. ამ შეხვედრებს 200-300 მაყურებელი თუ ესწრებოდა.

— ამ კვირაში შოტლანდიურ გუნდებს გავეჯიბრებით. თუ არ ვცდები, პირველი დივიზიონის კლუბებს. მერე კი ლონდონში ჩავალთ ოთხი დღით, სადაც სამ საკონტროლო მატჩს ვითამაშებთ ინგლისის პირველი და მეორე დივიზიონების გუნდებთან.

— ჯიმ დაფის ხელში ეს „დანდის" პირველი სრულფასოვანი მოსამზადებელი ეტაპია და ასეთი მომქანცველი ვარჯიშები და დატვირთვები აქამდე არ მენახა. ერთი სიტყვით, ძალიან გაგვიჭირდა.

— კვების მხრივ შეზღუდულები არაფერზე ვიყავით. ალკოჰოლური სასმელები კი, მათ შორის ლუდიც, კატეგორიულად აგვიკრძალეს შეკრებაზე. არადა, შოტლანდიელები ისეთი ხალხია, ლუდის გარეშე არ შეუძლიათ, მაგრამ ამერიკაში გატარებულმა ათმა დასიცხულმა დღემ ულუდოდ ჩაიარა.

**დავით თავართქილაძე**

# ინტერტოტოს თასი 2003

## III ეტაპი. პირველი მატჩები

**დაჩია (მოლდოვა) 0:1 შალკე (გერმანია)**

0:1 ციომერი (23)

შალკე: ფ. როსტი, ალკიდესი, მაიტო, მატელაჩი, კობიაშვილი, ასამოა (როდრიგესი 78), ალტინტოპი, პოულსენი, ვარელა, ციომერი (ვერმანტი 89), აგალი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: პოულსენი, მაიტო

მსაჯი: კალდმა (ესტონეთი)

5 000 მაყურებელი

**ტობოლი (ყაზახეთი) 0:1 პაშინგი (ავსტრია)**

0:1 გლიდერი (80)

**სიგმა (ჩეხეთი) 0:1 ვოლფსბურგი (გერმანია)**

0:1 ტომაში (47)

**ნანტი (საფრანგეთი) 2:1 ბილი (შვეიცარია)**

0:1 როჯერიო (23), 1:1 ნზიგუ (51), 2:1 გ. პუიოლი (88)

**ჰერენვენი (ჰოლანდია) 4:1 ლიერსი (ბელგია)**

1:0 სიბონი (1), 1:1 ფრიგარდი (22), 2:1 დენებოომი (29), 3:1 კნოპერი (34), 4:1 სამარასი (84)

**ეგალეო (საბერძნეთი) 2:3 კოპერი (სლოვენია)**

0:1 ტრენევსკი (50), 1:1 აგრიტისი (58), 2:1 პაჯიჩი (59), 2:2 კოვაჩევიჩი (66), 2:3 ტრენევსკი (80)

**გენგამი (საფრანგეთი) 2:1 ბრნო (ჩეხეთი)**

0:1 კრსკო (20), 1:1 კაბანასი (81), 2:1 ლე რუ (883)

**ნიცა (საფრანგეთი) 0:0 ვერდერი (გერმანია)**

**პერუჯა (იტალია) 2:0 ალიანსი (ფინეთი)**

1:0 ბოტროიდი (24), 2:0 ფუზანი (45)

**რასინგი (ესპანეთი) 0:1 ლიბერეცი (ჩეხეთი)**

0:1 პაპოუშეკი (41)

**ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 ბრეშა (იტალია)**

1:0 კალეხა (11), 2:0 ფერნანდესი (62)

**ტამპერე (ფინეთი) 0:2 ციბალია (ხორვატია)**

0:1 იურიჩი (78), 0:2 ზგელა (88)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 26-27 ივლისს*



# ხიზანიშვილი ვიზირებულია

„გლაზგო რეინჯერსი" შეკრებაზეა ნიურნბერგში და შაბათ-კვირას ორი საკონტროლო შეხვედრაც გამართა უსახელო გერმანულ გუნდებთან — „აუერბახს" 5:1 მოუგო, „ერზეგებირგს" 1:0.

ზურაბ ხიზანიშვილი კი გუშინ დიუსელდორფში გახლდათ. ამ ქალაქშია დიდი ბრიტანეთის გერმანული საელჩო, სადაც ხიზანიშვილს თავისი პასპორტი ჰქონდა ჩაბარებული. ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტმაც შესაბამისი ვიზა ჩაურტყა ზურას პასპორტში დიუსელდორფის საელჩოს ხელით. მოკლედ, ხიზანიშვილმა „რეინჯერსში" თამაშისთვის საჭირო ფორმალობები უკან მოიტოვა.

ზემოხსენებულ საკონტროლო შეხვედრებში კი ხიზანიშვილსა და შოთა არველაძეს არ უთამაშიათ. მათ მიკროტრავმები აწუხებთ და ოდენ უბურთოდ ვარჯიშობენ, თამაშს კი ერთ კვირაში შეძლებენ. ხოლო „რეინჯერსი" ქართველებიურთ გერმანიიდან ხვალ გაბრუნდება გლაზგოში.

**დავით თავართქილაძე**

# აჩი და არმინია მორჩა

## არველაძე გუნდს თბილისში მოიფიქრებს



ბილეფელდის „არმინიამ" უქმეებზე მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა. მისი მეტოქე სოფიის „სლავია" იყო და შეხვედრა ბულგარელებმა 2:0 მოიგეს. არჩილ არველაძე მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე, შეხვედრის შემდეგ კი „არმინიას" ხელმძღვანელობას საბოლოოდ დაელაპარაკა და ყველაფერი გაირკვა — ტყუპისცალი „არმინიიდან" წამოვიდა.

— პირობებზე ვერ შევთანხმდით. „არმინია" არც იმაზე დაყაბულდა, ბილეფელდში ჩემთვის ბინა ექირავა და მანქანა გამოეყო, წვრილმან შეღავათებზეც უარი მითხრა. მოკლედ, იწუწუნეს და ყველაფერს მე ხომ არ დავთმობდი?! ვფიქრობ, არ ვარ ისეთ ფეხბურთელი, ოღონდ „არმინიაში" მეთამაშა და ჩემი მოთხოვნები კლუბს არ გაეთვალისწინებინა.

— სამომავლო გეგმებზე ახლა ვერაფერს გეტყვით. ჯერ თბილისში ჩამოვალ და მერე ვნახოთ, რა იქნება. რაც შეეხება იმას, საქართველოს ჩემპიონატში ჩემი თამაში გამორიცხულია თუ არა, გეტყვით, რომ ჩემთვის ეს საკმაოდ ძნელი იქნება, რადგან ევროპაში უკვე კარგა ხანს ვითამაშე.

**დავით თავართქილაძე**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49


| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ცსკა 1:3 | 0 | სათადარიგო | 1 | 1 | 9 |
| | | ს | დინამო 1:1 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 10 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ცსკა 1:3 | 76 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | 9 |
| | | ს | დინამო 1:1 | 70 | საგოლე პასი, შეცვალეს | 2 | 1 | 10 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | როსტოვი 1:0 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 11 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | ურალანი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 10 | 0 | 15 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | სატურნი 0:0 | 77 | შეცვალეს | 9 | 0 | 7 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 7 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | სატურნი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | ს | როტორი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ცსკა 3:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | შინიკი 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 14 | 1 | 16 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | სპარტაკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | შ | სპარტაკ-ალანია 2:1 | 89 | შეცვალეს | 2 | 0 | 14 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | სპარტაკ-ალანია 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ტავრია 1:1 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ტავრია 1:1 | 90 | | 2 | 1 | 11 |
| ოლეგ გველესიანი | მ. დონეცკი | ს | ტავრია 1:1 | 0 | განაცხადში არ არის | 0 | 0 | 11 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | ზირკა 1:0 | 90 | | 2 | 0 | 9 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 13 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:1 | 90 | 1 გოლი | 2 | 1 | 13 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ბორისფენი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | ობოლონი 2:1 | 86 | შეცვალეს | 2 | 0 | 6 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | შ | ინტერი 3:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 11 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | აუდა 4:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 8 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | რიგა 1:3 | 0 | | 13 | 1 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ლოსკოვმა აშვეთიას გატანილი გაიტანა

## მენთეშაშვილს და რეხვიაშვილს მიუნჰაუზენი თუ უშველის

**მიხეილ აშვეთია** მშვენივრად მოერგო მოსკოვის „ლოკომოტივს". ცსკა-სთან სადებიუტო მატჩში გ...ანს თავის გამოჩენა თანაქალაქელ „დინამოსთან" გუშინწინდელ ჯახშიც შეეძლო, მაგრამ კაპიტან დმიტრი ლოსკოვის „დახმარებით" ოდენ საგოლე პასი გამოუვიდა. სხვათა შორის, აშვეთიამ სწორედ ლოსკოვის პასით იხეირა არმიელებთან მატჩში.

ერთი სიტყვით, რკინიგზელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და რატომ იკმარეს ფრე „დინამოსთან", ძალიან საკვირველია. ანგარიში „ლოკომოტივმა" გახსნა. მეკარესთან პირისპირ გასულმა აშვეთიამ გოლის გასატანად ყველაფერი გააკეთა, კარშიც დაარტყა, მაგრამ იქვე ლოსკოვი გაჩნდა და კარის ხაზიდან ვარდნით გაიტანა გოლი. დინამოელებმა გათანაბრება გამოგონებული პენალტით შეძლეს. 70-ე წუთზე სიომინმა სტადიონის ტაბლოზე აშვეთიევად მოხსენიებული აშვეთია შეცვალა, წუთში კი მალხაზ ასათიანი შეუშვა მოედანზე, თუმც სასურველი და შესაძლო გამარჯვება რკინიგზელებმა ვერ მოახერხეს.

ბოლო წუთზე გატანილი გოლით აჯობა „სპარტაკმა" „როსტოვს". ვალერი აბრამიძე 72-ე წუთზე გამოჩნდა „სახალხო გუნდის" შემადგენლობაში. სტუმართა გუნდის განაცხადში წლეულს პირველად მოხვდა ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დავით ხმელიძე.

პრემიერლიგას ალბათ ორი „ქართული" გუნდი დატოვებს. ზურაბ მენთეშაშვილის „სპარტაკ-ალანიამ" და ალექსანდრე რეხვიაშვილის „ტორპედო-მეტალურგმა" ისე ღრმად შეტოპეს ჭაობში, იქიდან სასწაულიღა თუ ამოიყვანს. ოსებმა და მოსკოველებმა ამ ტურშიც მარცხი იწვნიეს, თანაც უიმედო.

ახალ კლუბში ფეხის მოკიდება არც ვასილ გიგიაძეს გასჭირვებია. „ურალანმა" 2:1 მოუგო „სპარტაკ-ალანიას" და უფრო მეტი სხვაობით რომ ვერ იმარჯვა, მხოლოდ საკუთარ თავდამსხმელებს უნდა დააბრალოს. ვასილ გიგიაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და ოდენ ბოლო წუთზე შეცვალა მწვრთნელმა.

პირველი უკრაინული გოლი გაიტანა ზურაბ იონანიძემ. სიმფეროპოლის „ტავრიამ" ქულა გაიყო ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგთან". სამივე ქართველმა სრულად ითამაშა.

გოლით შეეწია საკუთარ კლუბს ლევან კორღალიძეც. „სკონტო" „ვენტსპილსის" ჩამოტოვებაზე ფიქრობდა და ამასობაში ორივეს „მეტალურგსმა" გაასწრო. „სკონტომ" კი „აუდა" 4:0 დაჩაგრა. მეორე ტაიმში მოედანზე შესულმა კორღალიძემ ბოლო, მეოთხე გოლი გაუტანა მეტოქეს.

**კახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთიამ (მარცხნივ) თითქმის გაიტანა, მაგრამ საგოლე პასს დააჭერეს

# რონალდინიო გაკვალულ გზას დაადგა... ამბობენ, ინგლისი ერჩივნაო



REUTERS

**ბრაზილიელი** რონალდინიო „ბარსელონაში" გადავიდა. ამ ტრანსფერის ღირებულება, საბოლოოდ, 25 მილიონი ევრო, ხოლო კონტრაქტის ხანგრძლივობა ხუთი წელი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ თუ ფეხბურთელი თავს გამოიჩენს, ტრანსფერის ფასი კიდევ 5 მილიონი ევროთი გაიზრდება, ხოლო კონკრეტულად რას ნიშნავს თავის გამოჩენა, ამის შესახებ მოვაჭრე მხარეებს, „ბარსელონასა" და „პარი სენ ჟერმენს" — რონალდინიოს ყოფილ კლუბს — ბუნებრივია, ნალაპარაკევი ექნებათ.

„რონალდინიომ სამედიცინო შემოწმება ჩინებულად გაიარა. იგი სრულიად ჯანმრთელია" — განაცხადა კატალონიური კლუბის სამედიცინო საქმეთა მთავარგამგებელმა ხორდი არდევოლმა.

ნუ, ამის შემდეგ, მოსალოდნელი და გასაგები ქათინაურების გაცვლა-გამოცვლა, ცხადია, არავის გაუკვირდებოდა.

რონალდინიო: „ამ კლუბში ბევრი ისეთი ვარსკვლავი თამაშობდა, რომელმაც მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი. „ბარსელონა" მეც იმიტომ ვირჩიე, რომ აქ ფეხბურთელისთვის ყველა პირობაა შექმნილი. „ბარსელონა" დიადი კლუბია. რაც შეეხება მწვრთნელს, ფრანკ რაიკარდს, მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთელობისას მისი ფანი გახლდით და ახლა, მწვრთნელობისას რომ მასთან მუშაობის საშუალება მეძლევა, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. შევეცდები გუნდს, ყოველმხრივ შევუწყო ხელი. „ბარსელონაში" უამრავი მაღალი დონის ოსტატია და ამ კლუბის წევრობა პრივილეგიის შეგრძნებას მანიჭებს".

„ბარსას" ვიცე-პრეზიდენტი, სანდრო როსელი: „ეჭვი არასდროს გვეპარებოდა, რომ რონალდინიოს სწორედ ჩვენთან უნდოდა გადმოსვლა. ამიტომაც ვიბრძოლეთ ამდენი მის შესაძენად. მოლაპარაკებებმა ჩინებულად ჩაიარა, უბრალოდ, ყველა დოკუმენტი სათარგმნი შეიქნა და ამან პროცესი ცოტა შეანელა".

როსელი, რომელიც ადრე „ნაიკში" მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე, რონალდინიოს იმთავითვე ახლოს იცნობდა („ნაიკი" ბრაზილიის ნაკრების სპონსორია) და აეროპორტშიც სწორედ ის დახვდა ბრაზილიელს.

აღსანიშნავია, რომ თავად ვარსკვლავი ძალიან კმაყოფილი ჩანდა მიღებით, დამხვდურთ საფირმო ღიმილით უმასპინძლდებოდა და B ტერმინალის გასასვლელში შეგებებულ ქომაგებს ავტოგრაფებზე უარს არ ჰკადრებდა. შემდეგ, როსელმა რონალდინიო კლუბის ოფისში წაიყვანა სადაც ხელფასზე და სხვა პირად საკითხებზე გაურიგდა და ქაღალდებზე ხელიც მოაწერინა.

მაშ ასე, რონალდინიო თანამემამულეების, რომარიოს, რონალდოსა და რივალდოს კვალს მიჰყვა — ბოლო პერიოდის მაღალპროფილიანი ბრაზილიელები „ბარსელონას" სტაჟს აუცილებლად გადიან. და კიდევ, „ბარსელონაში" გადასვლით რონალდინიომ უარი უთხრა „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „რეალს".

ვნახოთ, რას ამბობს ფეხბურთელის ძმა და აგენტი რობერტო ასისი.

„მდგომარეობა იმან გაართულა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „პარი სენ ჟერმენმა" საერთო ენა ვერ გამონახეს, თორემ რონალდინიოს ყველაზე მეტად სწორედ ინგლისში უნდოდა თამაში. დიახ, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა მის კარიერაში დიდი ნაბიჯის შესაძლებლობა იყო, რონალდინიო ამ კლუბს უდიდეს პატივს სცემს და თუნდაც მხოლოდ იმიტომ არის კმაყოფილი, რომ მანჩესტერელები მისით დაინტერესდნენ. რაც შეეხება „ბარსელონას", ის ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, მაგრამ ამის მიუხედავად რჩება კლუბად, რომელსაც 110 ათასი წევრი ჰყავს და რომლისგანაც მარად უდიადეს შედეგებს ელიან".

**პაპუნა ძიდია**




„მანჩესტერს" ამერიკაში ტაილანდისგან სრულიად განსხვავებულად დახვდნენ

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამერიკაში
## სადაც არავინ დაგხვდათ

**სეზონის წინ** „მანჩესტერ იუნაიტედი" ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარჯიშობს — ტურნეს ერთობ თამამი სახელწოდება აქვს: ინგლისური კლუბი ფეხბურთის უკანასკნელ ჯებირს უტევს!

„იუნაიტედი", ინგლისის რვაგზის ჩემპიონი ბოლო 11 სეზონში, კლუბი, რომელსაც მსოფლიოში 53 მილიონი ქომაგი ჰყავს, აშშ-ში, ბოლოში და, ბევრს საერთოდ არც გაუგია და, ამიტომ, მისი ოთხკაციანი დირექტორატი, თავმჯდომარის, პიტერ კინიონის ხელმძღვანელობით, ამ 16 დღიან და 4 თამაშიან ტურნეზე გარკვეულ იმედს ამყარებს.

ტურნეს კომერციულ მხარეზე სჯობს არაფერი ვთქვათ. თავად განსაჯეთ, ვარსკვლავთა კრებულს პორტლენდის აეროპორტში 12 ქომაგი და ერთი ტელერეპორტიორი დახვდა — შეადარეთ მანჩესტერელთათვის ჩვეულ აზიურ ისტერიას. მერედა, ფეხბურთელების სამწუხაროდ, იმ დღეს, პორტლენდში, ერაყში ნაომარი და შინ დაბრუნებული ჯარისკაცების პარადი მოეწყო, რის გამოც ქუჩებიც გადაიკეტა დაირხა ჭორი, თითქოს კინიონს ამერიკული ტურნე ბექჰემის გამო და მისი გათვალისწინებით ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ბექჰემი „რეალში" წაუვიდა და ტურნემაც კომერციული მარცხი განიცადაო. ამ ჭორს კინიონმა კატეგორიული პასუხი გასცა, არა, ერთი კაცის გამო არაფერი დაგეგმილაო და არც იხტიბარი გაიტეხა.

„მანჩესტერ იუნაიტედი" აშშ-ში ოთხ თამაშს გამართავს. მათგან სამზე, დღეს „სელტიკთან" სიეტლში, 31 ივლისს ნიუ ჯერსიში „იუვენტუსთან" და 3 აგვისტოს, ფილადელფიაში „ბარსელონასთან", ძალიანაც რომ მოინდომოთ, ბილეთს ვერ იშოვნით, ბილეთები ორ დღეში გაყიდულა. მეოთხე თამაშზე, მექსიკურ კლუბ „ამერიკასთან", ლოს ანჯელესში, 27 ივლისს, ასევე 60 ათას ქომაგს ელიან — ასეთია კინიონის კონტრარგუმენტები. შეგახსენებთ იმასაც, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" ამ დღეებში ამერიკელი მეკარე, ტიმ ჰოვარდი იყიდა და ამან შეუძლებელია თავისებური რეკლამა არ გაუკეთოს ტურნეს.

# მაშ, მანჩესტერს ვინდა? მხოლოდ და მხოლოდ საგანგებო ფეხბურთელი

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა რონალდინიოს „ბარსელონაში" წასვლაზე ასე განაცხადა: „ცხადია, გული დაგვწყდა, მაგრამ გლოვას არ ვაპირებთ. ბოლოს ყველაფერი იმ წერტილამდე იყო მისული, როდესაც კითხვა ასე ისმის: გინდა თუ არა ჩვენთან თამაში? ადრეც ყოფილა, ფეხბურთელი ხელიდან რომ გაგვიშვია, მაგრამ ამის გამო არ გავჩერებულვართ".

არადა, „ოლდ ტრეფორდის" ბოსი ორიოდ კვირის წინ აცხადებდა, რომ რონალდინიოსთან კონტრაქტის გაფორმებამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი. სწრაფი დრიბლიორი „იუნაიტედს" მეტისმეტად წაადგებოდა მე-11 სეზონში მე-8 ტიტულის მოპოვებაში.

მაგრამ ბრაზილიელი „ბარსელონაში" გადავიდა და შესაბამისად, ფერგიუსონი და მისი გუნდი სეზონისწინა შეკრებაზე აშშ-ში მის გარეშე გაემგზავრნენ.

„ნამდვილად არ ვიცი, რას ფიქრობდა ეს ბიჭი. მე მას მხოლოდ ერთხელ ვესაუბრე და ისიც უშედეგოდ, იმიტომ, რომ თავად ინგლისური არ იცის და თარჯიმნობას მისი ძმა გვიწევდა" — დასძინა ფერგიუსონმა.

ფერგიუსონი შესაძლოა, მართლაც გრძნობდეს ზეწოლას — ბოლოს და ბოლოს, დროა, „მანჩესტერ იუნაიტედმაც" შეიძინოს ახალი და საინტერესო ფეხბურთელი — მაგრამ აშშ-ში, პირველი საჯარო გამოჩენის დროს, მას არაფერი ეტყობოდა. ცნობისთვის: აშშ-ში 16 დღიანი შეკრების განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედი" ოთხ შეხვედრას გამართავს — „სელტიკთან", მექსიკურ „ამერიკასთან", „იუვენტუსთან" და „ბარსელონასთან".

ფერგიუსონი: „სეზონის დაწყებამდე ბევრი აღარ დაგვრჩენია. მაგრამ ეს ტურნე უთუოდ ითამაშებს თავის როლს. ყველაფერი ჩინებულად არის ორგანიზებული და ფეხბურთელები კმაყოფილნი არიან. რამდენიმე დიდი ამხანაგური მატჩი გველის, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, ყოველ მომდევნო შეხვედრაში უფრო სახიფათონი ვიყოთ. კიდევ ეს თამაშები აშშ-ში ფეხბურთის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ხალხს ხომ ამაღელვებელი მატჩების ნახვა უნდა".

მაგრამ, რა უნდა ამერიკას, ერთია, ხოლო რა უნდა „იუნაიტედს" — მეორე. კლუბის აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა დაადასტურა, რომ „ბლექბერნ როვერსისგან" დემიენ დაფის შეძენაც გამოირიცხა:

„მოვრჩეთ დემიენ დაფზე საუბარს. ჩვენ არც კლუბისთვის მიგვიმართავს და არც მოთამაშისთვის. დაფი „ჩელსიში" გადადის."

მაშ ასე, დაფი — არ გამოვიდა, რონალდინიო — არ გამოვიდა, ჰარი კიუელი — არ გამოვიდა.

„მანჩესტერში რომ მოხვდე, საგანგებო ფეხბურთელი უნდა იყო. ჩვენ მკაფიო, მკაცრი რეჟიმი გვაქვს, მაგრამ ეს რეჟიმი წარმატების საწინდარია, ხოლო წარმატება გახლავთ სწორედ ის, რაც ფეხბურთელების უმეტესობას სურს" — ამბობს კინიონი, რომელიც რონალდინიოს საქმესთან დაკავშირებით „პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტის, ფრანსუა გრაილის კომენტარებს გაულიზიანებია — ძალიან უკმაყოფილო გახლავართ კომენტარებით. ჩვენ არც ქედმაღლები ვართ და არც ის გვესმის, ამ საქმეში ბარტეზის გვარი რატომ გარიეს. არ არის მართალი, თითქოს სიტყვიერად ერთი თანხა შეგვეთავაზებინოს, ხოლო ქაღალდზე მეორე დაგვეწეროს. ბიზნესი ასე არასდროს გვიკეთებია. ფეხბურთელს რომ სდომოდა „იუნაიტედში" გადასვლა, სხვა ვარიანტებსაც განვიხილავდით".



ალექს ფერგიუსონმა რონალდინიოს ენა ვერ გაიგო

**პაპუნა ძიდია**



„სუპერდეპორის“ წარმატების საიდუმლო როი მაკაის და დიეგო ტრისტანის ერთად ყოფნაში ყოფილა

# დეპორტივო დედუქციის მეთოდით იყიდება

## თუ არც ლუკე და არც მაკაი, მაშინ...

**გალისიური** „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდოირომ ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, კლუბის სამი საუკეთესო თავდამსხმელიდან — როი მაკაი, ალბერტ ლუკე, დიეგო ტრისტანი — ერთ-ერთთან გამოთხოვება მოგვიწევსო.

როცა პრეზიდენტმა ეს თქვა, ხალხმა მაშინვე ალბერტ ლუკესკენ გაიხედა. ყოფილი მალიორკელი მობურთალი წინა სეზონში ფრიად დაუმძაკაცდა სათადარიგოთა სკამს და ამის გამო დიდ უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა.

ლუკემ რამდენჯერმე მოითხოვა გუნდის ხელმძღვანელობასთან საქმიანი პაემანი, სადაც მისი „დეპორში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. საბოლოოდ შეხვედრა შედგა და ლენდოიროს ჭირვეული მოთამაშე გალისიური კლუბის ღირსეულ ნაწილად, ანუ ტრანსფერგარეშედ სცნო.

ლუკეს ამბოხის შემდეგ როი მაკაის ბავარიული თავგადასავალი დაიწყო. „ბაიერნმა“ ესპანელებს 18 მილიონი ევრო შესთავაზა, რაზეც თავაზიანი უარი მიიღო. ცოტა ხანში საქმეში ინგლისური კლუბებიც ჩაერთვნენ, მერე კი გაირკვა, რომ ლენდოიროს სულაც არ უნდა ჰოლანდიელი ვარსკვლავის გალისიიდან გაშვება და, ბუნებრივია, ხალხმა ყურადღება მესამე კანდიდატზე გადაიტანა — დიეგო ტრისტანზე.

შეგახსენებთ, რომ ამ გულფიცხ სენიორს რატომღაც როი მაკაის გვერდით ბურთაობა არ ეპიტნავება და ამას საჯაროდაც გამოხატავს. „ან მე უნდა წავიდე „დეპორტივოდან“ ან კიდევ, მაკაი“ — დაიქადნა ტრისტანმა და საქმეს ახლა ისეთი პირი უჩანს, სავსებით მოსალოდნელია, ყველაფერი ასეც მოხდეს, ანუ ტრისტანი მომავალ პრიმერაში „დეპორის“ შემადგენლობაში ველარ ვიხილოთ.

პრეზიდენტმა ტრისტანის საწყის ფასად 24 მილიონი ევრო გამოაცხადა. ასე რომ, ლენდოიროს გვარიანი სატრანსფერო განტოლებების ამოხსნა მოუწევს.

ამასობაში კი ხავიერ ირურეტას გუნდი აგვისტოს საჩემპიონთალიგო შერკინებამდე სეზონთაშორისი მზადებითაა დაკავებული. გუშინ „დეპორტივო“ ვილალბაში გაემგზავრა, სადაც 25 ივლისს ადგილობრივი კლუბის წინააღმდეგ ითამაშებს.

5 დღის შემდეგ ლაკორუნიელები მშობლიურ „რიასორზე“ პორტუგალიურ „პორტუს“ დაუპირისპირდებიან, ხოლო 12 ან 13 აგვისტოს, როგორც უკვე ვთქვით, ჩემპიონთა ლიგის დაძაბულ პაექრობაში ჩაერთვებიან.

„ჯერჯერობით ახალი ფეხბურთელების ყიდვის საქმე ძლიერ მძიმედ მიმდინარეობს. მე გუნდის თავკაცებს სასურველ ტრანსფერებთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევა მივეცი, თუმც ახლა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობ და სხვა დანარჩენზე მსჯელობა დროის ფუჭად დაკარგვად მიმაჩნია“ — აღიარა ბასკმა ირურეტამ, რომელიც აგერ, უკვე ზედიზედ მეექვსე სეზონია, რაც „დეპორში“ მუშაობს.

„ჩემთვის ორივე ფეხბურთელი ძვირფასია, დიეგო ტრისტანიც და როი მაკაიც. თუ „დეპორტივო“ ორივეს შეინარჩუნებს, მერწმუნეთ, ლა კორუნია დიდი გამარჯვებების მომსწრე გახდება“ — დასძინა დამრიგებელმა.

**ლადო ხომერიკი**



რონალდო დიდძალ ფულს ფეხბურთის გარდა რეკლამითაც შოულობს

# ლუდი, რეალი და გვატემალა

**რონალდომ** ცენტრალური ამერიკაც დალაშქრა. წინა უქმეებზე „რეალის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი სარეკლამო ვიზიტით ტერიტორიულად მცირე, მაგრამ ფეხბურთის ცეცხლით გაჩირაღდნებულ გვატემალას ეწვია.

„უდიდესი მადლობა ყველას“ — განუცხადა კიჭამ იქაურ გულშემატკივრებს, ოდეს გამოსამშვიდობებელ სიტყვას ეუბნებოდათ და ნუგეშად ნოემბრის თვეში კვლავ ჩასვლასა და ზინედინ ზიდანის წაყვანასაც დაჰპირდა.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ამერიკელ ინდიელთა უძველეს სახელმწიფოში ბრაზილიური ლუდის AM BER-ის რეკლამის მიზნით ჩავიდა და გვატემალელთა ჭეშმარიტად ფანტასტიკური სიყვარული დაიმსახურა.

„აღფრთოვანებული და გაოცებული ვარ თქვენით. ამ ქვეყანაში ისეთი დახვედრა მომიწყვეს, სხვაგან არსად რომ მინახავს — თქვა აღტაცებულმა რონალდომ, რომელსაც „და ავროას“ აეროპორტში, მიუხედავად საკმაოდ ცივი ამინდისა (გვატემალა მაღალმთიანი ქვეყანაა), გულშემატკივართა შემდგარი არმია ყიჟინით შეეგება.

ამ დღეებში ვინ დათვლის რონალდოს რამდენი მაისურა გაიყიდა, ფასი კი 100 დოლარზე ნაკლები არ ყოფილა.

მობურთალმა ამერიკის ძირძველ მკვიდრთა ნამოსახლევი პირამიდებიც მოინახულა და ბედნიერ აბორიგენებს ლუდსა და მსოფლიოს ფეხბურთზე გაესაუბრა. დასასრულს კი ჟურნალისტებთან მასლაათისთვისაც მოიცალა.

მედიის კითხვაზე, თუ რას ელოდება იგი დევიდ ბექჰემისგან, ლუის ნასარიო და ლიმამ შემდეგი პასუხი გასცა: „ვფიქრობ, რომ იგი თაყვანისმცემელთა იმედებს გაამართლებს და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თავისი საქმის გაკეთებას შეძლებს.“

**ლადო ხომერიკი**

# გარიგებაც ამას ჰქვია

## სპორტინგმა ერთი გაყიდა, ბევრი იყიდა





ლისაბონელებმა ანდერსონ პოლგა და რიკარდო პერეირა ბარსელონელების ფულით იყიდეს

**ლისაბონის** „სპორტინგმა“ კვარესმას სანაცვლოდ „ბარსელონასგან“ ფული მიიღო და ფეხბურთელებს ახლა თვითონ ყიდულობს.

ლისაბონელებმა, რომელთა კარს ორი წლის წინ თვით პიტერ შმაიხელი იცავდა „ბოავიშტასგან“ პორტუგალიის ნაკრების მეკარე რიკარდო პერეირა შეიძინეს. მან ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ბოავიშტა“ 27 წლის რიკარდოს ოთხი მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელია. ოთხიდან ორი მილიონი უკვე მიიღეს და ორსაც მოგვიანებით მიართმევენ.

„სპორტინგმა“ მეკარეს პირადად 250 ათასი ევრო მაშინვე ჩააჩუტა, ყოველთვიურად კი 75 ათასს გადაუხდის.

ლისაბონის „სპორტინგშივე“ გადაბარგდა ბრაზილიის ნაკრების მოთამაშე ანდერსონ პოლგა. „გრემიომ“ პორტუგალიელებს ფეხბურთელი მილიონ 120 ათას ევროდ დაუთმო და მცველი „სპორტინგს“ სამი წლით შეეკრა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ პორტუგალიურმა კლუბმა „ბარსელონადან“ სამი წლით ფაბიო როჩემბაკი ითხოვა, უფრო ადრე კი „პორტუდან“ და „ბოავიშტადან“ ბრაზილიელები, კლეიტონ კრუზი და ელპიდიუ სილვა გადაიბირა.

**მაკა ხუციშვილი**



კირონ დაიერს ერთი „იუნაიტედის“ მეორეზე გაცვლა სურს

# კაჭკაჭმა შთხრა ალმქსსო...

**ინგლისის** ნაკრების ნახევარმცველი კირონ დაიერი ამბობს, რომ „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ სურს გადასვლა. ამბობენ იმასაც, რომ რონალდინიოს ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ მანჩესტერელთა თავკაცის, ალექს ფერგიუსონის მთავარ ამოცანად სწორედ დაიერის შეძენა ქცეულა.

არადა, ნიუკასლში ამბობენ, რომ 24 წლის დაიერი არ იყიდება — ხაზს უსვამენ: არანაირ ფულადო, — თუმცა არ აზუსტებენ, რა მოხდება 20 მილიონ გირვანქად.

სხვათაშორის, მანჩესტერელები „კაჭკაჭებს“ დაიერის გამო აგერ უკვე 18 თვეა ევაჭრებიან, მაგრამ კაჭკაჭები, გეგონება ფული არ სჭირდებოდეთ, კატეგორიულ უარს აცხადებენ.

დაიერს „ნიუკასლში“ კი მოსწონს, მაგრამ „მანჩესტერზე“ ყოველთვის ოცნებობდა მას ინგლისის ნაკრებში 16 თამაში აქვს ჩატარებული და „მანჩესტერში“ დევიდ ბექჰემის შემცვლელობას უქადიან. შესაძლოა იგი თავდამსხმელის, რუუდ ვან ნისტელროის უკანაც დაასაქმონ, თუმცა „ჩელსი“ — რუსულად მდიდარი ლონდონური გუნდი — კაჭკაცს თავისი კაკანათითაც უცქერის და ვინ იცის...

**ბაჩუნა ძედია**

# №32 АШВЕТИЕВ
## ქართველი ტაბლოზე რუსულად აარიფეს


სპარტაკი — როსტოვი. „სახალხო გუნდმა“ ბოლო წუთზე პავლიუჩენკოს ამ დარტყმულით მოიგო

### რუსეთი
**პრემიერლიგა. XVII ტური**

**დინამო 1:1 ლოკომოტივი**
0:1 ლოსკოვი (16), 1:1 კორომანი (31პ)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, ნიჟეგოროდოვი, პაშინინი, ლეკხეტო, მამინოვი (ასათიანი 76), ხოხლოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი, აშვეთია (ბუზნიკინი 69; პიმენოვი 87), სირხაევი

**სპარტაკი 1:0 როსტოვი**
1:0 პავლიუჩენკო (90)
სპარტაკი: შაფარი, მიტრეხკი (აბრამიძე 72), ვაშჩუკი, მოიზესი, კოვტუნი, კალინიჩენკო, დემენკო, სტანიჩი (სმირნოვი 85), ტიტოვი, კონცევოი (პრმანი 60), პავლიუჩენკო

**ტორპედო 3:2 ცსკა**
1:0 როვნეიკო (7), 1:1 გუსევი (17პ), 1:2 იანოვსკი (31), 2:2, 3:2 ლეონჩენკო (41, 49პ)

**ზენიტი 2:2 კრილია სოვეტოვი**
1:0 მარეში (17), 2:0 სპივაკი (45პ), 2:1, 2:2 კარიაკა (47, 76)

**რუბინი 0:0 სატურნი**
რუბინი: კოზკო, სკოტი, სინიოვი, ნოვოტნი, ბოიარინცევი, კალისტო, შარონოვი, სიბაია, კონოვალოვი, ჩაღაძე, რონი

**შინიკი 3:0 ტ. მეტალურგი**
1:0 კვზინოვი (60), 2:0 კარპენკო (73), 3:0 შევჩუკი (90)

**როტორი 3:0 ჩერნომორეცი**
1:0 ზუბკო (53), 2:0 ბონდარენკო (85), 3:0 რომანოვი (86)

**ურალანი 2:1 სპარტაკ-ალანია**
1:0 აჯინჯალი (13), 1:1 დროზდოვი (36), 2:1 აჯინჯალი (76)
ურალანი: ფილიმონოვი, კუზმინი, დალ კანტო, გერაშჩენკო, კოლოდინი, სემოჩკო, ბიბილაძე, ლოპესი (მარტინესი 76), აჯინჯალი, ბოჩკოვი, პასონი

ბოლო ექვს ტურში ცსკა-მ მხოლოდ ექვსი ქულა მოაგროვა ჰოდა, მის მდევრებს ლიდერისთვის კუდზე ფეხის დაბიჯება ადვილად შეეძლოთ, მაგრამ არმიელთა სასიხარულოდ, მდევრები თვითონაც არანაკლები მფლანგველები გამოდგნენ. „დინამომ“, „სატურნმა“, „კრილია სოვეტოვმა“ და „რუბინმა“ იმავ ექვს ტურში ცხრა-ცხრა ქულაზე მეტი ვერ მოიხვეჭეს და ცსკა კვლავ სოლიდური სხვაობით და არხეინად ლიდერობს.

ერთადერთი, ვინც ბოლო ექვს ტურში თვალისმომჭრელი შედეგით დაიკვეხნის, იაროსლავლის „შინიკია“, რომელმაც მიჯრით ხუთი მოგებისა და ერთი ფრის ხარჯზე მეთერთმეტედან მესამე ადგილს უწია. ამასთან, იაროსლაველებს ლიგაში ყველაზე ნაკლები, მხოლოდ ორი წაგება აქვთ და ზედიზედ ცხრა მატჩია, არ დამარცხებულან.

ამ ტურში კი მოსკოვში ორი საინტერესო დერბი გაიმართა. ცსკა-ს ამ სეზონში თანაქალაქელ მეტოქეებთან ქულაც კი არ დაეკარგა — ექვსიდან ექვსი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ამჯერად „ტორპედოსთან“ დამარცხდა.

არმიელებს „ლოკომოტივთან“ წინა მატჩში უსემაკობა თუ არ დაეტყოთ, ახლა აშკარად გამოჩნდა. მას „ტორპედოს“ კარში აქამდე ცხრა გოლი გაუტანია და საერთოდ, ავტოქარხნელების წინაალმდეგ ყოველთვის შედეგიანად თამაშობდა.

ვალერი გაზაევის გუნდს ჩეხი იაროშიკიც აკლდა და ორი მთავარი ფეხბურთელის არყოფნაში საკმაოდ გამართულად მორბენალი „ტორპედო“ ვერ დაჯაბნა.

ერთმანეთის კარში გოლების გატანით მეტოქეებმა გული პირველივე ტაიმში იჯერეს. ლებედენკოს ფლანგური გარღვევა როვნეიკოს ზუსტი თავურით დასრულდა. ათიოდ წუთში „ტორპედოს“ საჯარიმოში პოპოვმა წაიმსახიობა და ბასკაკოვმა საეჭვო (ტორპედოელთა აზრით) თერთმეტმეტრიანი დანიშნა. როლან გუსევს გატანა არ გასჭირვებია და ანგარიში გაათანაბრა.

ტაიმის შუაწელში იანოვსკიმ კუთხურიდან იხეირა. მან მცველებს შორის ამოყვინთა და ბურთს თავი საგოლედ შეაგება.

შესვენებამდე ლეონჩენკომ იანოვსკის მიჰბაძა — ოღონდ მისგან განსხვავებით, კუთხურიდან ჩაწოდებულს ფეხი დაუხვედრა და ბურთი კარში შეაპარა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ბასკაკოვმა „შეცდომა გამოასწორა“ — ამჯერად კიდევ უფრო საეჭვო თერთმეტმეტრიანით „ტორპედო“ დააჯილდოვა. თავისი შანსი ლეონჩენკომ გამოიყენა და დუბლი მიითვალა.

არანაკლებ დაძაბული, მაგრამ მწირგოლიანი გამოდგა მეორე დედაქალაქური დერბი „დინამო“ — „ლოკომოტივი“.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი: 1994 წლიდან ჩემპიონატის პრიზიორთა შორის ან ვიქტორ პროკოპენკოს გუნდი უნდა მოხვდეს, ან იური სიომინისა. ორივე მწვრთნელის მონაგარი მთლიანობაში 9 მედალია. ისე არასდროს მომხდარა, რომ რომელიმე მათგანი ჯილდოს გარეშე დარჩენილიყო, მაგრამ ორივე ერთდროულად პრიზიორებში არასოდეს გარეულა.

ახლანდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, მედალოსანი ვიქტორ პროკოპენკო გახდება, იური სიომინის „ლოკომოტივს“ კი, თუ ასე გააგრძელებს, შეიძლება, ინტერტოტოზე თამაში მოენატროს.

სტადიონის ტაბლოზე მიხეილ აშვეთიას გვარი გამოუცვალეს და შეცდომით აშვეთიევად დაწერეს.

მატჩში ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. იზმაილოვმა აშვეთიას მიაწოდა და ქართველის დარტყმულ ბურთს, უკვე კარის ხაზთან, ლოსკოვმა ფეხი მიახმარა.

გოლის შემდეგ ლოსკოვი ძალიან გააქტიურდა და იმდენი მოახერხა, რომ თერთმეტმეტრიანი „აიკიდა“. პენალტი სერბმა ლეგიონერმა კორომანმა უნაკლოდ შეასრულა და მოპოვებული ქულით „დინამომ“ მეორე ადგილი შეინარჩუნა.

„შინიკის“ შეტევებს „ტორპედო-მეტალურგმა“ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძლო. შესვენების შემდეგ მასპინძელთაგან გამორჩეულმა კარპენკომ სამ საგოლე კომბინაციაში გაურია ფეხი. პირველში და მესამეში წილი როგორც მეპასემ, ისე დაიდო, მეორე კი თვითონ შეაგდო.

გამარჯვებამ „შინიკი“ მესამე ადგილზე ასწია, რომელსაც იაროსლაველები დამოუკიდებელი რუსული ლიგის არსებობის მანძილზე პირველად შესწვდნენ.

ვლადიკავკაზი ზედიზედ მეათედ დაეცა — ამჯერად „ურალანთან“ ელისტაში. ჩემპიონატის დასაწყისში განწირული თითქოს „ურალანი“ ჩანდა, „სპარტაკ-ალანია“ კი მედლებს უმიზნებდა. ახლა ელისტელები გამოცოცხლდნენ, ვლადიკავკაზელები კი ფსკერზე დაეშვნენ. „სპარტაკ-ალანიას“ მეკარე გაბულოვს ამ სეზონში უკვე მეოთხე ფეხბურთელმა გადააველო თავზე ბურთი და ისე გაუტანა. ამჯერად ეს რუსლან აჯინჯალმა მოახერხა.

**მაჭა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 10 | 4 | 3 | 32:21 | 34 |
| დინამო | 17 | 8 | 5 | 4 | 30:18 | 29 |
| შინიკი | 17 | 7 | 8 | 2 | 25:14 | 29 |
| სატურნი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:14 | 28 |
| ზენიტი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:22 | 26 |
| კრილია | 17 | 6 | 7 | 4 | 24:17 | 25 |
| რუბინი | 17 | 6 | 7 | 4 | 22:15 | 25 |
| როსტოვი | 17 | 6 | 6 | 5 | 19:24 | 24 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:22 | 23 |
| ტორპედო | 17 | 6 | 5 | 6 | 21:22 | 23 |
| სპარტაკი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:24 | 22 |
| როტორი | 17 | 5 | 4 | 8 | 22:24 | 19 |
| ჩერნომორეცი | 17 | 4 | 6 | 7 | 19:25 | 18 |
| ურალანი | 17 | 4 | 6 | 7 | 12:22 | 18 |
| ალანია | 17 | 4 | 0 | 13 | 10:31 | 12 |
| ტ. მეტალურგი | 17 | 2 | 5 | 10 | 12:21 | 11 |

# ინტერში დიდი ბუტიაობაა
## მწვრთნელი ამბობს, ფეხბურთელს სწყინს, ფეხბურთელი ამბობს, დირექტორს სწყინს

**მილანის** „ინტერმა“ ახალი სეზონისთვის რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ მწვრთნელი მთლად კმაყოფილი მაინც არ არის.

ექტორ რაულ კუპერმა დაიწუწუნა, ერთი ტანმაღალი ცენტრალური მცველი დაგვხატავდაო. ეს ნათქვამი ფაბიო კანავაროს (176 სმ სიმაღლის) არ ესიამოვნა და პასუხიც გასცა: „ჩვენი გუნდის დაცვის ხაზში არსებული პრობლემები მცველების სიდაბლის ბრალი არაა. კარიერაში არაერთი მაღალი მეტოქის წინააღმდეგ საკმაოდ წარმატებულად მითამაშია. მწვრთნელს უეჭველად დავუმტკიცებ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვიმსახურებ. რაც შეეხება ახალწვეულებს, მათი დონით კმაყოფილი ვარ, ოღონდ საწყენი იქნება, თუ ლუიჯი დი ბიაჯო დაგვტოვებს“.

კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას ფრანჩესკო ტოლდო ემდურის. მეკარემ აზრი საჯაროდ გამოთქვა და „ინტერის“ ბოსები მსუბუქად გაკენწლა. ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ ტოლდოს ნათქვამი, ცხადია, იწყინა: მიუტანეს. დირექტორი: „ტოლდოს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მის გამონათქვამებს რომ გავეცანი, გამეცინა. საკლუბო ამბების გარჩევა მისი საქმე ნამდვილად არ არის. „ინტერის“ ფეხბურთელებს საჯაროდ ჩვენი გაკრიტიკება არ ეკადრებათ. ტოლდოს სამაგალითოდ დასჯას არ გამოვრიცხავ“.

**მაჭა ხუციშვილი**


ფრანჩესკო ტოლდომ გაკენწლა და გაკენწლეს

### ფინეთი
მე-13 ტური: ჯაზი — ჰიკ 2:6; ჰაკა — ჰაამენლინა 4:0; კტპ — ინტერი 3:3; ლაჰტი — მიუპა 4:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 12 | 9 | 2 | 1 | 29:5 | 29 |
| ჰიკ | 13 | 7 | 4 | 2 | 24:12 | 25 |
| ტამპერე | 11 | 7 | 1 | 3 | 19:9 | 22 |
| ალიანსი | 11 | 6 | 3 | 2 | 23:16 | 21 |
| მიუპა | 12 | 6 | 2 | 4 | 18:11 | 20 |
| ჰამენლინა | 13 | 5 | 3 | 5 | 13:22 | 18 |
| ტურკუ | 13 | 4 | 5 | 4 | 17:16 | 17 |
| ინტერი | 13 | 4 | 3 | 6 | 20:22 | 15 |
| იოკერიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:16 | 14 |
| ლაჰტი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:18 | 14 |
| კტპ | 13 | 4 | 1 | 8 | 20:27 | 13 |
| ჯაზი | 13 | 4 | 1 | 8 | 17:31 | 13 |
| იარო | 12 | 2 | 5 | 5 | 15:22 | 11 |
| კუოპიო | 13 | 2 | 3 | 8 | 13:30 | 9 |

### შვედეთი
მე-15 ტური: ოისტერი — ენკიოპინგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 14 | 9 | 1 | 4 | 32:13 | 28 |
| ჰამარბი | 13 | 7 | 4 | 2 | 19:14 | 25 |
| მალმიო | 13 | 7 | 3 | 3 | 24:13 | 24 |
| აიკ | 14 | 7 | 3 | 4 | 22:15 | 24 |
| ჰალმსტადი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:18 | 23 |
| იორებრო | 14 | 6 | 4 | 4 | 19:18 | 22 |
| იორგრიტე | 14 | 6 | 2 | 6 | 20:23 | 20 |
| გიოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:21 | 18 |
| ელფსბორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:21 | 16 |
| ლანდსკრონა | 14 | 3 | 6 | 5 | 15:19 | 15 |
| სუნდსვალი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:19 | 12 |
| ენკიოპინგი | 15 | 2 | 4 | 9 | 15:30 | 10 |
| ოისტერი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:28 | 10 |

### ხორვატია
**სუპერთასი**

**დინამო 4:1 ჰაიდუკი**
0:1 რუკავინა (23), 1:1 ტომიჩი (31), 2:1 სედლოსკი (48), 3:1 და სილვა (74), 4:1 ზაჰორა (90)

### უნგრეთი
**სუპერთასი**

**მტკ 2:0 ფერენცვაროში**
1:0 ტორგელე (30), 2:0 ცვიტკოვიში (51)

### ნორვეგია
მე-13 ტური: მოლდე — სოგნდალი 3:4; ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი 1:0; სტაბეკი — ვიკინგი 0:2; ბრინი — ალესუნდი 2:0; ტრომსიო — როსენბორგი 2:4; ლილესტრომი — ლინი 2:0. ვოლერენგა — ბრანი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 13 | 10 | 2 | 1 | 35:10 | 32 |
| ბოდიო გლიმტი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:13 | 22 |
| ვიკინგი | 12 | 5 | 6 | 1 | 21:12 | 21 |
| სოგნდალი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:19 | 21 |
| სტაბეკი | 13 | 5 | 5 | 3 | 20:16 | 20 |
| ოდ გრენლანდი | 13 | 6 | 2 | 5 | 22:22 | 20 |
| ბრინი | 13 | 5 | 1 | 7 | 24:22 | 16 |
| ლინი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:22 | 16 |
| ლილესტრომი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:21 | 15 |
| ვოლერენგა | 12 | 3 | 5 | 4 | 15:14 | 14 |
| მოლდე | 12 | 4 | 2 | 6 | 16:20 | 14 |
| ტრომსიო | 13 | 3 | 3 | 7 | 18:29 | 12 |
| ალესუნდი | 13 | 1 | 6 | 6 | 16:24 | 9 |
| ბრანი | 12 | 1 | 5 | 6 | 11:24 | 8 |

### შვეიცარია
**II ტური**

**აარაუ 2:1 გრასჰოპერი**
1:0 კ. ვარელა (20), 1:1 ნუნიესი (31), 2:1 უოლკერი (52)

**ქსამაქსი 2:0 სანქტ გალენი**
1:0 გრიფიტსი (4), 2:0 ა. რეი (88)

**ციურიხი 0:1 სერვეტი**
0:1 გ. ობრადოვიჩი (42)

**ვილი — თუნი**
დღეს გაიმართება

**იანგ ბოისი — ბაზელი**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ქსამაქსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| აარაუ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| იანგ ბოისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბაზელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| თუნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვილი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ციურიხი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| სენტ გალენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

# 2003 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი



ნორვეგიასთან გადამწყვეტ მატჩში პორტუგალიელებს მხსნელად პაულო სერჟიუ მოევლინათ

# მართლა ბავშვები ყოფილან

## პორტუგალიას საყმაწვილო სენი შეეყარა

**A ჯგუფი**

II ტური

**პორტუგალია 1:1 იტალია**

**ლიხტენშტაინი 1:2 ნორვეგია**

III ტური

**პორტუგალია 2:2 ნორვეგია**

**იტალია 5:1 ლიხტენშტაინი**

ლიხტენშტაინში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი დასრულდა. პირველ ოთხეულში იტალიელებმა იმარჯვეს. მათ პირველ ტურში ნორვეგიას რომ სძლიეს, მერე პორტუგალიასთან ფრეს მიაღწიეს, ლიხტენშტაინის დამარცხებას კი, აბა, რა უნდოდა.

არადა, მეორე ტურში პორტუგალიელებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ. იტალიელთა ნახევრიდან ფეხს არ იცვლიდნენ, ერთხელ ხარიხასაც გაარტყეს და იერიშები მეორე ნახევრის დასაწყისში, იტალიელთა კარში გატანილი გოლის მერეც არ გაუნელებიათ. პორტუგალიელებს სულ ცოტა სამჯერ კიდევ მართებდათ მეტოქის დამწუხრება.

მაგრამ შეტევაში ზედმეტად გართულებს პაოლო ბერეტინის შეგირდებმა ზურგის მოშიშვლება არ აპატიეს, კონტრიერიშზე გამოიჭირეს და იტალიელთა კაპიტანმა ფრანჩესკო ლოდიმ ათიოდ წუთში გაათანაბრა.

მესამე შეხვედრა აპენინელებს მასპინძლებთან ჰქონდათ და, ზემოთაც მოგახსენეთ, რა გასაკვირია, რომ ადვილად დაამარცხეს.

ბოლო ტურში მეორე ადგილისთვის ნორვეგია და პორტუგალია დაეჯახნენ. სკანდინავიელებმა მანამდე ლიხტენშტაინსაც კი ძლივს სძლიეს. მასპინძელი ბუჰლერას ავტოგოლი რომ არა, დამხვდურები ჯგუფში საპატიო ქულას მაინც მოიპოვებდნენ.

ლიხტენშტაინთან ნორვეგიელთა წაფორხილებამ პორტუგალიელებს ცუდი სამსახური გაუწია. იფიქრეს, იოლად მოვუგებთო და პირველი ტაიმის შუაწელისთვის უკვე 0:2 აგებდნენ.

პორტუგალიელთა მწვრთნელმა კარლოს დინისმა შესვენების შემდეგ ლისაბონის „სპორტინგის“ ფორვარდ პაულო სერჟიუს უხმო, რომელმაც მოედანზე შესვლიდან ნახევარ საათში ვიკინგთა ორბურთიანი უპირატესობა გააქრო. თუმც მეორე ნახევრის დასაწყისში ნორვეგიელ პეტერ ვააგან მოენს მეტოქის მეკარესთან პირისპირ გასვლით რომ ეხეირა, ნახევარფინალში სკანდინავიელები გავიდოდნენ.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 0 | 8:3 | 5 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | 0 |

**B ჯგუფი**

II ტური

**ჩეხეთი 1:4 ავსტრია**

**საფრანგეთი 0:2 ინგლისი**

III ტური

**ჩეხეთი 3:0 ინგლისი**

**ავსტრია 1:1 საფრანგეთი**

პირველ მატჩში ინგლისელთა ერთბურთიანი (2:1) სხვაობით დამარცხების შემდეგ ავსტრიამ ჩეხეთი მიწასთან გაასწორა. არადა, ჩეხები მიკოლანდას გოლით მალევე დაწინაურდნენ, ტაიმის ბოლომდე მეტოქეს სჯობნიდნენ კიდეც, თუმც შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე კაცი გაუგდეს და აქედან დაიწყო მათი რბევა. სენ სჩიკერისა და რომან კუნასტის წყვილ-წყვილმა გოლებმა ანგარიში ჩეხთათვის კატასტროფული გახადა.

ავსტრიელებს ბოლო ტურში ფრეც ჰყოფნიდათ ჯგუფიდან გასასვლელად. ისინი ფრანგებთან მატჩში პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ და „სამფეროვნები“ ბოლო წუთზე სებასტიან გრაქსის მიერ გატანილი პენალტითლა გადაურჩნენ მარცხს.

მეორე ტურში ფრანგებთან მოგების შემდეგ ნახევარფინალში გასვლის შანსი ინგლისელებსაც ჰქონდათ და საამისოდ ჩეხებთან ფრეც ჰყოფნიდათ. პირველი ტაიმი უგოლოდ გაილია. მეორეს დასაწყისში კი ლუკას ნაჰტმანმა ჩეხები დააწინაურა რის მერეც ინგლისელთა კარის ბადე შიგნიდან კიდევ ორჯერ შეირხა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |

**ნახევარფინალი**

**იტალია — ჩეხეთი**

**ავსტრია — პორტუგალია**



ფრანგმა კევენ ჟაკმომ ინგლისელ ჯასტინ ჰოიტს ხელი უშნოდ წაავლო

ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სერბული წარმოშობის შვედი რეზერვისტი ბოიან ჯორჯიჩი ერთი წლით „ცრვენა ზვეზდას“ ათხოვა. მშობლიურ მიწაზე დაბრუნებულმა ჯორჯიჩმა თქვა, ამჟამად ჩემთვის სათამაშო პრაქტიკაა მთავარიო. შვედი შარშან დანიურ „ორჰუსში“ ასევე იჯარის წესით იყო განათხოვრებული.

**ისრაელის ჰაიფას „მაკაბისა“ და ნაკრების მეკარე დუდუ ავატე სანტანდერის „რასინგმა“ შეიძინა. „ჩემი ოცნება ახდა — აღმოხდა ავატეს — უნდა დავამტკიცო, რომ პრიმერადივიზიონში მაღალ დონეზე თამაში შემიძლია“. 25 წლის მეკარემ ეროვნული ნაკრების მაისურა 13-ჯერ მოირგო და მეორე ებრაელია, რომელიც ევროპული გუნდის კარს დაიცავს. 1989-90 წლებში გლაზგოს „რეინჯერსში“ ბონაი გინზბურგი თამაშობდა.**

**იტალიურმა** „რომამ“ ფინანსური საქმეები მოაგვარა. რომაელებს „აიაქსიდან“ კრისტიან კივუს შეძენა სურდათ, მაგრამ ფეხბურთელის ტრანსფერი ფიფამ დაამუხრუჭა — იტალიურ კლუბს პერუული გუნდის, „სპორტინგ კრისტალის“ ვალი ემართა. „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ვალები გაისტუმრა და ამის შესახებ ფიფას და „აიაქსს“ აცნობა. კრისტიან კივუ ოფიციალურად რომაელია.

**ესპანური „სელტას“ 31 წლის ბრაზილიელმა დორივამ მომავალი ერთი წლით თავი „მიდლსბროს“ დაუკავშირა. „ბედნიერი ვარ — თქვა დორივამ — ეს წარმატებული გარიგებაა ჩემთვისაც და „სელტასთვისაც“. მე ორ-სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება მსურდა ინგლისურ კლუბთან, მაგრამ საბოლოოდ ერთს დავჯერდი“. „მიდლსბროში“ დორივას ერთი თანამემამულე დაუხვდება, ჟუნინო.**

**იტალიური** „ინტერის“ ნახევარმცველი დომენიკო მორფეო „პარმაში“ გადავიდა. „ახალ გუნდში თავს არ დავზოგავ. მე თვითონ მსურდა მილანიდან წამოსვლა და ამას მივაღწიე კიდეც — თქვა ფეხბურთელმა — „ინტერში“ კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ხშირად ჩემს პოზიციას არ მანდობდნენ. ახლა მე „პარმაში“ ვარ. ვიმედოვნებ, რომ საკუთარ ადგილს მოვძებნი“.

**ფრანგი მცველი ჟიულენ ესკუდე ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა. თუ გახსოვთ, შარშან „მანჩესტერ იუნაიტედი“ ესკუდეთი სერიოზულად დაინტერესდა და თითქოს „რენიდან“ მისი ტრანსფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საბოლოოდ გადაიფიქრეს. ხოლო მას შემდეგ, რაც „აიაქსმა“ კრისტიან კივუ გაუშვა, დაცვის ხაზის გასაძლიერებლად სწორედ ესკუდეს გადაბირება გადაწყვიტა და 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ესკუდემ თავის ახალ კლუბთან ერთად უკვე ივარჯიშა და თავისი ემოციები ასე გამოხატა: „ბედნიერი ვარ, რომ „აიაქსის“ ფეხბურთელი გავხდი. კლუბმა თავისი სახე ათწლეულების მანძილზე შეინარჩუნა, და დარწმუნებული ვარ, თავისი ხელწერა მუდამ ექნება“.**

**ჰოლანდიურმა** „ფეიენოორდმა“ 19 წლის ბრაზილიელ მცველ ჟეან კარლოს დონდესთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. დიდი ხანია, „ფეიენოორდი“ მარცხენა მცველს ეძებს და საბოლოოდ არჩევანი ჟეანზე შეაჩერა, რომელსაც ჰოლანდიური კლუბი 14 წლის ასაკიდან აკვირდება. პარანას „ატლეტიკოს“ ყოფილი მცველით დაიმედებულმა ბერტ ვან მარვიიკმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „სამი წელია, მარცხენა მცველს ვეძებთ, რადგანაც ამ პოზიციაზე ძნელია კარგი ფეხბურთელის პოვნა. მარცხენა მცველი ყველა კლუბს სჭირდება. მე მინდოდა, რომ ჟეანს უფრო დიდი ხნის მანძილზე დავკვირვებოდი, მაგრამ პასუხი საჩქარო იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ შენაძენით. იგი მაღალი კლასის ფეხბურთელია“.

**უკრაინის ჩემპიონმა კიევის „დინამომ“ ბრაზილიური „ფლამენგოდან“ 24 წლის მცველი ალესანდრო მორი ნუნიესი შეიძინა. კიეველებმა მასთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს (კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით). ბრაზილიელ მცველს ნათამაშები აქვს თავისი ქვეყნის იუნიორთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში. ნუნიესს ევროპაში გამოჩენის შანსი ორი წლის წინაც ჰქონდა, როდესაც მის გადაბირებას იტალიური „პერუჯა“ ცდილობდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ალესანდრო კიევის „დინამოს“ მესამე შენაძენია უკრაინელი დენის ონიშენკოსა და ოლეგ გუსევის შემდეგ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მასთან ერთად კიევში „კორინთიანსის“ ექსფორვარდი ლედსონი ჩავიდა და უკვე დაიწყო მოლაპარაკება გუნდის ხელმძღვანელობასთან.**

**განელი** ნახევარმცველი სამუელ ჯონსონი თურქულ „გაზიანთეფში“ დაბრუნდა და კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჯონსონი „გაზიანთეფში“ 1998-99 წლების სეზონში ბრიუსელის „ანდერლეხტიდან“ გადავიდა, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ „ფენერბაჰჩეს“ მიაშურა და აქამდე სტამბოლურ კლუბში ირიცხებოდა. ახლა კი „ფენერბაჩემ“ 30 წლის ნახევარმცველთან განშორება გადაწყვიტა (სავარაუდოდ „ფენერი“ მის მაგივრად ირანელი ალი რიზა ვახედის შეძენას აპირებს) და „გაზიანთეფს“ დაუბრუნა. ამ ტრანსფერით უეფას თასზე გასული „გენდის“ ხელმძღვანელობა და თავად ფეხბურთელიც კმაყოფილები დარჩნენ. „ამ სეზონში მე და ჩემი თანაგუნდელები შტორმივით ძლიერები ვიქნებით“ — აღნიშნა ჯონსონმა.

## PEACE CUP

**B ჯგუფი**

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 4:1 ლოს ანჯელეს გალაქსი (აშშ)**

**მიუნხენ 1860 (გერმანია) 1:0 ნასიონალი (ურუგვაი)**



ფლუმინენსე — სანტოსი. სტუმარი ველინგტონ ოლივეირა რიოელ სეხნია ლოპესს მარჯვედ გადაახტა

# მთავარია, ფული არ გაფრინდეს

## გოლები ეგებ სხვებმაც გაიტანონ

### ბრაზილია

**მე-20 ტური:** ინტერნასიონალი — ფიგეირენსე 3:0; ფლუმინენსე — სანტოსი 1:4; კორინთიანსი — გუარანი 1:0; ფორტალეზა — ატლ. მინეირო 4:3; ჟუვენტუდე — პაისანდუ 2:0; ატლ. პარანენსე — ბაია 2:1; კრუზეირო — პარანა 5:1; ვასკუ და გამა — გრემიო 2:0; პონტე პრეტა — კურიტიბა 1:1; კრისიუმა — ფლამენგო 4:3; გოიასი — სან კაეტანო 2:1; ვიტორია — სან პაულუ 0:2

ბრაზილიაში ახლა ხურდება ნამდვილი საჩემპიონო ბრძოლა. გუნდების უმეტესობამ ოცდასამტურიანი ჩემპიონატის 20-20 თამაში გალია და საუკეთესო რვას შორის მოხვედრისათვის ჭიდილი გამძაფრდა.

იბრძვიან ლიდერებიც, ვინაიდან საჩემპიონო პლეი ოფში პირველადგილოსანი მერვეადგილოსანს ხვდება და მეოთხედფინალები შესაბამისი ნუმერაციით ლაგდება. ამიტომ, ყველას უნდა, პირველი მეტოქე შედარებით სუსტი ჰყავდეს.

ლიდერმა „კრუზეიროშ" კვლავ მოიგო, 5:1 სძლია „პარანას" და პირველი ადგილიცისე შეინარჩუნა, რომ ორი ქულით უსწრებს „სან პაულუს". ბელუორიზონტელები მთელი სეზონია ლიდერობენ და იანვრიდან სულ ორი თამაში წააგეს.

„პარანასთან" მატჩიც გასეირნებას ჰგავდა. კოლუმბიელმა ვიქტორ უგო არისტისაბალმა ორი გაიტანა (აქედან ერთი ბრწყინვალე მაკრატელათი). გაიტანეს კრისმა, ლეანდრომ და შუა მოედნის პოლკოვნიკმა ალეშმა, რომელმაც, ასევე მიიღო მონაწილეობა კრისისა და არისტისაბალის გოლებში.

„კრუზეიროს" ქომაგებისთვის კი სამწუხარო სულ სხვა რამ გამოდგა. პრეზიდენტმა ალვამირ პერელამ თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ სწორედ ახლა, საფრანგეთის „ბორდოში" ყიდის თავის მთავარმეგოლეს, დეივიდს. არადა, პლეიოფები კარსაა მომდგარი.

„სან პაულუმ" კვლავ მოიგო, ზედიზედ მეცხრედ. გუნდმა იოლად დაამარცხა „ვიტორია" გასვლით მატჩში. ფაბიანომ სტუმართა პირველივე შეტევა გოლით დააგვირგვინა, მერე კი რიკომ გაჭრა ვიტორიელთა დაცვა. „სან პაულუს" ამ თამაშში ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი აკლდა, სანაკრებო, თუ სადამსჯელო მიზეზით.

ექვსი ფეხბურთელი აკლდა მესამე ადგილზე მყოფ, თამაშნაკლულ „სანტოსს", შარშანდელ ჩემპიონს, რომელმაც ნაკრებში გაწვეულთა არყოფნის მიუხედავად 4:1 მოუგო „ფლუმინენსეს". ფლუელელთაგან გოლი რომარიომ გაიტანა, „სანტოსში" კი ახალი ნორჩი ტალანტი, ჟერი გამოჩნდა, რომელმაც გოლით აღნიშნა მოედანზე შემოსვლა.

„ვასკუ და გამამ" 2:0 მოუგო „გრემიოს", რაც დონიცეტის მეცადინეობით მოხდა. ამან თავადაც გაიტანა და როდრიგო სოუტუსაც გაატანინა. „გრემიო" კი, ლეგენდარული გუნდი პორტუ ალეგრიდან, ახლო წარსულში ლიბერტადორესის თასის ორგზის მფლობელი, 23-ე ადგილზე ჩავარდა.

წააგო „ფლამენგომაც", რომელიც „ვასკუსთან" ერთად 15-ე-16-ე ადგილებს ინაწილებს. „კრისიუმამ" პირველი ტაიმი 4:0 მოუგო ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბს და მეორე ნახევარში „ფლამენგომ" მხოლოდ სამი საპასუხოს გატანა შეძლო.

ბოლო გუნდმა, „გოიასმა" 2:1 სძლია „სან კაეტანოს". ორივე გოლი ჩემპიონატის მთავარმეგოლე. დიმბამ გაიტანა, მწვრთნელი მარიო სერჟიო კი „სან კაეტანოს" საჭეს ჩამოშორდა.

### ლუზაუ დუ მოზგაუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 20 | 13 | 4 | 3 | 45:22 | 43 |
| სან პაულუ | 20 | 12 | 5 | 3 | 40:27 | 41 |
| სანტოსი | 19 | 11 | 4 | 4 | 36:19 | 37 |
| კურიტიბა | 20 | 10 | 4 | 6 | 31:24 | 34 |
| ინტერნასიონალი | 20 | 9 | 5 | 6 | 29:26 | 34 |
| კრისიუმა | 19 | 10 | 3 | 6 | 26:24 | 33 |
| ატლ. მინეირო | 20 | 8 | 7 | 5 | 36:29 | 31 |
| კორინთიანსი | 20 | 7 | 7 | 6 | 35:26 | 28 |
| ფიგეირენსე | 20 | 7 | 6 | 7 | 25:26 | 27 |
| სან კაეტანო | 20 | 6 | 9 | 5 | 19:20 | 27 |
| ვიტორია | 20 | 7 | 5 | 8 | 24:32 | 26 |
| პარანა | 19 | 7 | 4 | 8 | 35:34 | 25 |
| ატლ. პარანენსე | 19 | 7 | 4 | 8 | 28:27 | 25 |
| გუარანი | 20 | 7 | 4 | 9 | 31:31 | 25 |
| ვასკუ და გამა | 20 | 6 | 6 | 8 | 27:33 | 24 |
| ფლამენგო | 20 | 6 | 6 | 8 | 28:35 | 24 |
| ბაია | 20 | 6 | 5 | 9 | 23:29 | 23 |
| პაისანდუ | 20 | 6 | 5 | 9 | 32:39 | 23 |
| ფორტალეზა | 20 | 6 | 4 | 10 | 24:30 | 22 |
| ფლუმინენსე | 20 | 6 | 4 | 10 | 24:35 | 22 |
| პონტე პრეტა | 19 | 6 | 7 | 6 | 28:28 | 21 |
| ჟუვენტუდე | 20 | 4 | 6 | 10 | 20:36 | 21 |
| გრემიო | 20 | 5 | 4 | 11 | 22:30 | 19 |
| გოიასი | 19 | 3 | 6 | 10 | 29:35 | 15 |

*შენიშვნა: „პონტე პრეტას" დაკლებული აქვს 4 ქულა, „ინტერნასიონალს" დამატებული აქვს ორი ქულა, „ჟუვენტუდეს" დამატებული აქვს სამი ქულა. თანაბარქულიანობისას უპირატესობა მოგებათა რაოდენობას ენიჭება*

## კონკაკაფის ოქროს თასი 2003

# რევოლუციის მტერი

## აცტეკა ჩვენს ეროვნულს დაემსგავსა, მუდამ ცარიელია

**მეოთხედფინალი**

**მექსიკა 5:0 იამაიკა**

1:0 ო. ბრავო (38), 2:0 რ. გარსია (42), 3:0 ოსორნო (55), 4:0 ბორგეტი (61), 5:0 ხ. როდრიგესი (83)

**ბრაზილია 2:0 კოლუმბია**

1:0, 2:0 კაკა (42, 66)

**სალვადორი 2:5 კოსტა რიკა**

0:1 სკოტი (11), 1:1 მურგასი (343), 1:2 სენტენო (45), 2:2 პაჩეკო (54), 2:3 სენტენო (68), 2:4 ბრისი (72), 2:5 სენტენო (903)

**აშშ 5:0 კუბა**

1:0, 2:0 დონოვანი (22, 25), 3:0 რალსტონი (42), 4:0, 5:0 დონოვანი (55, 76)

**ამერიკასა** და მექსიკაში, კონკაკაფის ოქროს თასის თანამასპინძელ ქვეყნებში, ჯერჯერობით ყველაფერი ისეა, სენსაციის თუ ოდნავი მოულოდნელობის სუნიც კი არსაიდან სცემს. ამ უქმეებზე შეჯიბრებამ მეოთხედფინალური ეტაპი გაიარა და ოთხივე მატჩში იმათ მოიგეს, ვისაც მოგება ეგრებოდათ.

ვინძლო ფიდელ კასტრომ კუბის რევოლუციის მტრად გამოაცხადოს ლენდონ დონოვანი, ამერიკელი ფეხბურთელი, ვინაც თავისუფლების კუნძულის ნაკრებს ოთხი გოლი გაუტანა — პირველი ორი და ბოლო ორი, დონოვანის გოლების შუალედში კი რევოლუციონერებს ერთი მახვილი სტივ რალსტონმაც ჩასცა.

ახლა სამშობლოში დაბრუნებულ კუბელებს უეჭველად დასჭირდებათ თავის გასამართლებელი საბუთების მოძიება, ეგებ ისაც თქვან, მსაჯი იმპერიალისტების მხარეს იყო და რაისანდერ ფერნანდესი ტყუილუბრალოდ გაგვიგდოო. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ კუბელი სრულიად სამართლიანად გააგდეს და საერთოდაც კუბამ უსუსურად ითამაშა.

ისე, ვაჟკაცი კაცი ყოფილა კუბელთა მწვრთნელი მიგელ კომპანი, ალალად აღიარა, ბევრს კი ვეცადეთ, მაგრამ ამერიკა ჩვენზე ბევრად ძლიერიაო. კიდევ კარგი, ფიდელ კასტროს არ სჩვევია დამარცხებული სპორტსმენების წამება, როგორც ეს უდაი ჰუსეინს უყვარდა.

ამერიკელთა მწვრთნელმა ბრიუს არენამ კი თქვა, 3:0-ზე დაყაბულება გვინდოდა, მაგრამ დონოვანი ვერ გავაჩერეთო.

მაიამიში ბრაზილიამ კაკას გოლებით დასცა კოლუმბია. პენტაკამპეონები შეჯიბრებაზე მეორე შემადგენლობით თამაშობენ, რის დასტურადაც თუნდაც ის ვთქვათ, რომ მეგოლე კაკა კაპიტნად ჰყავთ. ისე კი, ბრაზილიაც და კოლუმბიაც ოქროს თასზე საგანგებოდ არიან მიწვეულები, თორემ რომელი კონკაკაფელები ეგენი არიან.

ახლა ნახევარფინალში ბრაზილია ამერიკას ხვდება.

ამერიკელებისა არ იყოს, ხუთხუთი გოლი გაუტანეს მეტოქეებს მექსიკამ და კოსტა რიკამ. ამათგან ოთხი გოლი არავის გაუტანია, თუმცა კოსტარიკელმა ვალტერ სენტენომ სალვადორს ჰეთ თრიქი შეუსრულა. სხვათა შორის, თანამასპინძლების თამაშებს არ დასწრებია იმდენი მაყურებელი, რამდენიც კოსტა რიკისა და სალვადორის მატჩს დაესწრო. ფოქსბოროს სტადიონზე 16 ათასი კაცი იჯდა და სუყველა ამერიკაში გადახვეწილი კოსტარიკელები იყვნენ.

ხოლო მექსიკელთაგან ხუთმა სხვადასხვა ფეხბურთელმა გაუტანა ხუთი გოლი იამაიკას. მაგრამ ვებერთელა „აცტეკაზე" დიდი ჟრიამული არ ატეხილა — მეხიკოელებმა თამაშის საყურებლად წასვლა დაიზარეს. ჰოდა, მექსიკის ნაკრების პრობლემაც ეგ ყოფილა — გუნდი მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშობს, შემფასებელი კი არ ჰყავს.

**გიორგი დარჯანია**



აშშ — კუბა. მეორე გოლისას ლენდონ დონოვანმა ოდელინ მოლინას ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა

# დეივიდი უკვე ბორდოსფერია

პსჟ-მ რონალდინიო „ბარსელონას" რომ ჩააბარა, „ბორდოდან" პორტუგალიელი მეგოლე, პედრო პაულეტა გადაიყვანა. თავის მხრივ ჟირონდელები უფორვარდობამ შეაშინა, ბრაზილიას მიადგნენ და იქაური ჩემპიონატის მთავარმეგოლე საფრანგეთში თამაშზე დაიყაბულეს.

ფრანგულ კლუბს „კრუზეიროს" თავდამსხმელი, 24 წლის დეივიდი მოეწონა. იგი ბომბარდირია და უკვე 15 გოლი მიითვალა.

დეივიდს ევროპაში ადრეც უთამაშია. ხუთი წლის წინ, 1998-ში მან ბედი იტალიაში სცადა. მაშინ იგი „ლეჩეში" თამაშობდა. იტალიას ვერ შეეწყო და კვლავ ბრაზილიაში დაბრუნდა. ორი სეზონი „სანტოსში" გაატარა, 2001-დან კი „კრუზეიროშია" ამ კლუბის. შემადგენლობაში ბრაზილიის ჩემპიონატის ფინალშიც გააღწია და იქ მისი გუნდი „სანტოსთან" დამარცხდა.

ბორდოელებმა მის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო გადაიხადეს.

# დაღლილი პრეზიდენტთან

*ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში, მონედა პალასზე, ზღვა ხალხი შეკრიბა და რატომღაც პრეზიდენტს არ აგინებდა. რა შუაშია პრეზიდენტი? არაფერში, უბრალოდ მონედა პალასზე ჩილეს პრეზიდენტის რეზიდენციაა. აბა, რამ შეკრიბა მილეთის ხალხი პრეზიდენტის სასახლის წინ? იმან, რომ სასახლეში ივან სამორანო მიბრძანებულიყო და პრეზიდენტ რიკარდო ლაგოსისთვის გამოუცხადებია, ფეხბურთიდან მივდივარო.*

*და როცა სამორანომ თავისი გადაწყვეტილებით პრეზიდენტს გული აუჩუყა და ქუჩაში გავიდა, ხალხმა სწორედ მაშინ იხუვლა და კერპს მიესია.*

*ივან სამორანო ლამის ოცი წელია, ფეხბურთს თამაშობდა და დაიღალა.*



| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 17.25 | 001 | ტეპლიცე-სპარტა | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 20.15 | 002 | პრჟიბრამი-იაბლონეცი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.15 | 003 | სიგმა-ზლინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.15 | 004 | სლავია-ჟიჟკოვი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19.40 | 005 | ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **სლოვაკეთი. II ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი.** | | | | | | |
| 21.00 | 006 | დუბნიცა-ბ.ბისტრიცა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 007 | სლოვანი-ტრენჩინი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 008 | სლოვანი-ტრენჩინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 009 | რუჟომბეროკი-ინტერი | 2,3 | 3,2 | 3,1 | 1,33 | 1,32 | 1,57 |
| 21.00 | 010 | პუხოვი-ტრნავა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 011 | ჟილინა-პეტრჟალკა | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **დანია. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 021 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 022 | ესბიერგი-ორჰუსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 023 | ნორდსიელანდი-აკადემისკი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 024 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 025 | ოდენსე-ფრემი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 026 | ოდენსე-ფრემი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.35 | 027 | ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2,62 |
| | 028 | ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ავსტრია. II ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 029 | აუსტრია-ბრეგენცი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 030 | აუსტრია-ბრეგენცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 031 | პაშინგი-გრაცერი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.30 | 032 | შტურმი-კერნტენი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.30 | 033 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 034 | ადმირა-მატერსბურგი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **ავსტრია. I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 035 | მატერსბურგი-შტურმი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **შვეიცარია. II ტური** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 036 | იანგ ბოისი-ბაზელი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 22.30 | 037 | ვილი-თუნი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **შვეიცარია. III ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 038 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 039 | ბაზელი-ქსამაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 040 | სერვეტი-თუნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.30 | 041 | სტ.გალენი-აარაუ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 042 | იანგ ბოისი-ციურიხი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **სლოვენია. II ტური** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 043 | კოპერი-ლიუბლიანა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **უკრაინა. III ტური** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 060 | ბორისფენი-შახტარი | 10,0 | 6,0 | 1,15 | 3,75 | 1,03 | 1 |
| 16.00 | 061 | კარპატი-ზაპოროჟიე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.00 | 062 | ზირკა-დნიპრო | 4,8 | 3,3 | 1,65 | 1,95 | 1,22 | 1,1 |
| 16.00 | 063 | დინამო-არსენალი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 16.00 | 064 | ილიჩოვეცი-ჩერნომორეცი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 16.00 | 065 | მეტალურგი-ვოლინი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 16.00 | 066 | ვორსკლა-ტავრია | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| | | **შვედეთი. XV ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 089 | იორგრიტე-აიკ | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 090 | ჰალმსტადი-გიოტებორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **ფინეთი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 106 | იარო-ტამპერე | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| | | **ფინეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 107 | იარო-კუოპიო | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 108 | ჰჯკ-ინტერი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.30 | 109 | ჯაზი-ლაჰტი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 110 | იოკერიტი-ჰაამეენლინა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 111 | ტურკუ-ჰაკა | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ბრაზილია. XXI ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 24.00 | 112 | ატლეტიკო მგ-ჟუვენტუდე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 113 | ატლეტიკო მგ-ჟუვენტუდე 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 24.00 | 114 | გუარანი-ატლეტიკო პრ | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 24.00 | 115 | პარანა-ფორტალეზა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 24.00 | 116 | პაისანდუ-კრუზეირო | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 24.00 | 117 | ფიგეირენსე-ვასკუ და გამა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 24.00 | 118 | სანტოსი-გოასი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 119 | სანტოსი-გოასი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 24.00 | 120 | ბაია-კორინთიანსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 24.00 | 121 | კურიტიბა-ვიტორია | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 24.00 | 122 | სან პაულუ-პონტე პრეტა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 123 | სან პაულუ-პონტე პრეტა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 24.00 | 124 | ფლამენგო-ინტერნაციონალი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 24.00 | 125 | სან კაეტანო-ფლუმინენსე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2.19 |
| 24.00 | 126 | გრემიო-კრიციუმა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22.45 | 144 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **საფრანგეთი. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20.45 | 146 | ლიონი-ოსერი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **ნორვეგია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 147 | რუსენბორგი-ლინი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. I ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 17.00 | 148 | ირტიში-ომონია | 2,25 | 3,2 | 3,9 | 1,32 | 1,42 | 1,75 |
| 19.30 | 149 | კაუნასი-ტორსჰავენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 20.00 | 150 | ლეოტარი-გრევენმახერი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 20.30 | 151 | სკონტო-სლიმა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.00 | 152 | ჰჯკ-გლენტორანი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 153 | ტირანა-დინამო(თბ) | 2,35 | 3,2 | 3,0 | 1,35 | 1,31 | 1,54 |
| 21.00 | 154 | ფლორა-შერიფი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.45 | 155 | ბოჰემიანსი-ბატე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 24.00 | 156 | ბარი თაუნი-ვარდარი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 01.00 | 157 | რეიკიავიკი-პიუნიკი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **ოქროს თასი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 05.00 | 170 | აშშ-ბრაზილია | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 07.00 | 171 | მექსიკა-კოსტა რიკა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ეჩ 19 წლამდე (ლიხტენშტაინში)** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 19.30 | 174 | პორტუგალია-ავსტრია | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 175 | იტალია-ჩეხეთი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 08.00 | 178 | მანჩესტერი-სელტიკი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **წყალბურთი. მჩ (ესპანეთში)** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 18.30 | 201 | უნგრეთი-სლოვაკეთი | 1,06 | 10,0 | 10,0 | 1 | 1 | 5 |
| | 202 | უნგრეთი-სლოვაკეთი 0:4 | 1,9 | 6,0 | 1,9 | | | |
| 19.45 | 203 | აშშ-საბერძნეთი | 1,6 | 7,0 | 2,5 | 1,3 | 1 | 1,84 |
| 23.30 | 204 | სერბია-ესპანეთი | 1,85 | 6,0 | 1,95 | 1,41 | 1 | 1,47 |
| 00.45 | 205 | იტალია-ავსტრალია | 1,2 | 8,0 | 4,6 | 1,04 | 1 | 2,92 |
| | 206 | იტალია-ავსტრალია 0:2 | 1,9 | 6,0 | 1,9 | | | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

WETTBÜRO
Jeder kann gewinnen
SCHWECHAT

# ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

**ჩემპიონთა ლიგა**
**I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ირტიში — ომონია | 2.0 | 3.3 | 2.8 |
| კაუნასი — ტორსჰავნი | 1.2 | 5.0 | 7.5 |
| ლეოტარი — გრევენმახერი | 1.15 | 5.0 | 10.0 |
| სკონტო — სლიმა | 1.2 | 5.0 | 7.5 |
| ფლორა — შერიფი | 2.0 | 3.3 | 2.8 |
| ჰიკ — გლენტორანი | 1.25 | 4.5 | 7.0 |
| ტირანა — დინამო თბილისი | 2.2 | 3.2 | 2.5 |
| ბოჰემიანსი — ბატე | 2.1 | 3.2 | 2.7 |
| ბარი თაუნი — ვარდარი | 2.4 | 3.2 | 2.3 |
| რეიკიავიკი — პიუნიკი | 1.9 | 3.2 | 3.1 |

**გერმანია**
**ლიგის თასის ნახევარფინალი**
**22 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — ჰამბურგი | 1.7 | 3.3 | 3.7 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იარო — ტამპერე | 2.8 | 3.3 | 2.0 |

**ავსტრია**
**მაქსბუნდესლიგა. II ტური**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ბრეგენცი | 1.3 | 4.2 | 6.0 |
| ადმირა — მატერსბურგი | 2.1 | 3.2 | 2.7 |
| პაშინგი — გრაცერი | 2.45 | 3.1 | 2.3 |
| ზალცბურგი — რაპიდი | 1.9 | 3.2 | 3.1 |
| შტურმი — კერნტენი | 1.65 | 3.3 | 3.9 |

**შვეიცარია. II ტური**
**22 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იანგ ბოისი — ბაზელი | 2.8 | 3.3 | 2.0 |
| ვილი — თუნი | 2.0 | 3.3 | 2.8 |

**ბრაზილია. XXI ტური**
**24 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლ. მინეირო — ჟუვენტუდე | 1.45 | 3.5 | 5.5 |
| გუარანი — ატლ. პარანენსე | 1.9 | 3.2 | 3.1 |
| პარანა — ფორტალეზა | 1.6 | 3.4 | 4.0 |
| პაისანდუ — კრუზეირო | 2.4 | 3.2 | 2.3 |
| ბაია — კორინთიანსი | 2.0 | 3.3 | 2.8 |
| ფიგეირენსე — ვასკუ და გამა | 1.6 | 3.4 | 4.0 |
| სანტოსი — გოიასი | 1.2 | 4.6 | 8.5 |

**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფლამენგო — ინტერნასიონალი | 2.2 | 3.2 | 2.5 |
| გრემიო — კრისიუმა | 1.9 | 3.3 | 3.0 |
| სან კაეტანო — ფლუმინენსე | 1.5 | 3.4 | 4.8 |
| სან პაულუ — პონტე პრეტა | 1.4 | 3.6 | 6.0 |

sportsbook infoworld p2p

# გეიმბუკერსი (ინგლისი - ავსტრია)

**გერმანია**
**ლიგის თასის ნახევარფინალი**
**22 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — ჰამბურგი | 1.68 | 3.35 | 4.75 |

**ავსტრია**
**მაქსბუნდესლიგა. II ტური**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — რაპიდი | 1.9 | 3.2 | 3.65 |
| აუსტრია — ბრეგენცი | 1.27 | 4.6 | 9.0 |
| ადმირა — მატერსბურგი | 2.1 | 3.15 | 3.15 |
| შტურმი — კერნტენი | 1.62 | 3.5 | 4.75 |
| პაშინგი — გრაცერი | 2.9 | 3.15 | 2.22 |

**ბრაზილია. XXI ტური**
**24 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| პაისანდუ — კრუზეირო | 2.6 | 3.2 | 2.3 |
| პარანა — ფორტალეზა | 1.6 | 3.4 | 4.75 |
| ატლ. მინეირო — ჟუვენტუდე | 1.45 | 3.75 | 5.85 |
| გუარანი — ატლ. პარანენსე | 1.8 | 3.3 | 3.65 |
| ფიგეირენსე — ვასკუ და გამა | 1.65 | 3.4 | 4.35 |
| სანტოსი — გოიასი | 1.25 | 4.6 | 8.75 |

**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კურიტიბა — ვიტორია | 1.55 | 3.6 | 4.8 |
| სან კაეტანო — ფლუმინენსე | 1.53 | 3.65 | 5.0 |
| ფლამენგო — ინტერნასიონალი | 2.2 | 3.15 | 2.8 |
| გრემიო — კრისიუმა | 2.05 | 3.25 | 3.0 |
| სან პაულუ — პონტე პრეტა | 1.4 | 4.0 | 6.1 |

**დანია**
**სუპერლიგა. I ტური**
**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფარუმი — აკადემისკი | 2.05 | 3.35 | 3.25 |
| ოლბორგი — კოპენჰაგენი | 2.95 | 3.35 | 2.2 |
| ბრონდბიუ — ჰერფიოლგე | 1.35 | 4.5 | 7.5 |
| მიდტიულანდი — ვიბორგი | 1.95 | 3.3 | 3.5 |
| ესბიერგი — ორჰუსი | 2.1 | 3.3 | 3.25 |
| ოდენსე — ფრემი | 1.5 | 4.0 | 6.0 |

**ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი**
**ნახევარფინალი**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუგალია — ავსტრია | 1.9 | 3.2 | 3.5 |
| იტალია — ჩეხეთი | 1.95 | 3.2 | 3.25 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იარო — ტამპერე | 3.0 | 3.25 | 2.1 |

**ნორვეგია. თასის II ეტაპი**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსენბორგი — ლინი | 1.3 | 4.55 | 8.0 |

**ნორვეგია. XIV ტური**
**27 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მიოლდე — ოდ გრენლანდი | 1.85 | 3.5 | 3.45 |
| ბრანი — ლინი | 2.4 | 3.35 | 2.45 |
| სტაბეკი — სოგნდალი | 1.9 | 3.5 | 3.25 |
| ტრომსიო — ალესუნდი | 1.6 | 3.8 | 4.4 |
| ბრინი — ვიკინგი | 2.55 | 3.35 | 2.35 |
| ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი | 1.95 | 3.4 | 3.25 |

**შვედეთი. XV ტური**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იორგრიტე — აიკ | 2.25 | 3.3 | 2.8 |

**24 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰალმსტადი — გიოტებორგი | 1.93 | 3.3 | 3.5 |

**შვეიცარია. II ტური**
**22 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვილი — თუნი | 2.05 | 3.2 | 3.15 |
| იანგ ბოისი — ბაზელი | 3.3 | 3.2 | 2.0 |

**ჩემპიონთა ლიგა**
**I საკვალიფიკაციო ეტაპი**
**საპასუხო მატჩები**
**23 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ირტიში — ომონია | 2.05 | 3.25 | 3.0 |
| კაუნასი — ტორსჰავნი | 1.2 | 5.25 | 9.55 |
| ლეოტარი — გრევენმახერი | 1.15 | 5.7 | 12.0 |
| სკონტო — სლიმა | 1.25 | 5.0 | 8.75 |
| ფლორა — შერიფი | 2.1 | 3.25 | 3.0 |
| ტირანა — დინამო თბილისი | 2.25 | 3.25 | 2.7 |
| ჰიკ — გლენტორანი | 1.27 | 4.6 | 8.1 |
| ბოჰემიანსი — ბატე | 2.15 | 3.25 | 2.8 |
| ბარი თაუნი — ვარდარი | 2.65 | 3.25 | 2.3 |
| რეიკიავიკი — პიუნიკი | 1.97 | 3.25 | 3.2 |

**ამხანაგური მატჩი**
**22 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — ფიურტი | 1.65 | 3.45 | 4.25 |

**კონკაკაფის ოქროს თასი**
**ნახევარფინალი**
**24 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ — ბრაზილია | 2.4 | 3.25 | 2.5 |

**25 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მექსიკა — კოსტა რიკა | 1.7 | 3.35 | 4.25 |

*ქართული კლუბებიდან ყველაზე დიდი გული და სქელი ჯიბე კვლავ დინამოელებს აღმოაჩნდათ, შარშანდელის მსგავსად ევროპულ ტურნირზე წლეულსაც მხოლოდ ისინი ითამაშებენ საქართველოდან. გუშინწინ „დინამოს" მეტოქეები მიუნხენში გამართულმა კენჭისყრამ გაარკვია*



დრაჟენ ბრაიკოვიჩი და ზურაბ ტომარაძე

# დინამიური კომპანია: მემანქანეები, ქიმიკოსები, მენავთობეები

ქართული კლუბების ევროთასებზე უთამაშებლობის მთავარი მიზეზი ხომ ძლიერ გუნდებთან შერცხვენის შიში და, რა თქმა უნდა, უსახსრობაა. დინამოელებს კი რა ხანია, ფინანსური პრობლემები დაუძლევიათ და შიშიც დაივიწყეს. ის კი არა, დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი ბებერ კონტინენტზე ევროლიგის შემდეგ რანგით მეორე ტურნირს, ფიბა-ევროპის ჩემპიონთა ლიგასაც ებღაუჭებოდა. ხორვატმა მწვრთნელმაც თითქოს მოაკვარახჭინა საქმე, მაგრამ ამ ტურნირზე დასაშვები „უალდ ქარდი" ბოლო წამს სხვას უბოძეს. ასე დარჩა მაღალამბიციური საქართველოს ჩემპიონი ფიბა-ევროპის თასის, იგივე „ჩელენჯ ქაფის" ამარა, რომელშიც შარშანაც მონაწილეობდა და საუკეთესო რვა გუნდში მოხვდა.

ფიბა-ევროპის თასზე „დინამოს" მეჯგუფეები კვირას მიუნხენში გაირკვა. საქართველოს ჩემპიონი A ჯგუფში მოხვდა მინვოდურ „ლოკომოტივთან", ბაქოურ „გალასთან" და უკრაინის ციცქნა ქალაქ სუმის „სუმიხიმპრომთან". სანამ დინამოელთა მეტოქეებზე ორიოდ სიტყვას გეტყოდეთ, თავად ტურნირის რაობასა და მის ფორმატს გაგაცნობთ.

ფიბა-ევროპის თასი შარშანდელი „ჩელენჯ ქაფის" მემკვიდრეა. მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მხოლოდ ერთი პირობა არსებობს, თავისი ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლესლიგელი უნდა იყო. ცხადია, ავტომატურად იგულისხმება ევროსტანდარტული დარბაზი, საშხაპეები და ამისთანები, რომლებიც ამ ევროტურნირში მონაწილე გუნდმა უნდა დაახვედროს სტუმარს.

ფიბა-ევროპის თასი, ასე ვთქვათ, ოთხი დამოუკიდებელი ტურნირისგან შედგება, რომელთა გამარჯვებულები მთავარ პრიზს ოთხთა ფინალში გაითამაშებენ. ანუ არსებობს ოთხი კონფერენცია — ჩრდილოეთის, სამხრეთის, დასავლეთის და ცენტრალური, რომლებშიც ქვეყნები რეგიონალური პრინციპით არიან განაწილებულნი. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ჩრდილოეთის კონფერენცია, რომელიც საქართველოსთან ერთად აზერბაიჯანს, სომხეთს, ბელარუსს, რუსეთს, უკრაინას, ისლანდიას, ფინეთს, ლიტვას, ლატვიას, ნორვეგიას, მოლდოვას და შვედეთს აერთიანებს.

წლევანდელი ფიბა-ევროპის თასის ჩრდილოკონფერენციის ტურნირზე ყველა ამ ქვეყნის გუნდი ვერ (ან არ) გავიდა. აი, მონაწილენიც: B ჯგუფი: არსენალი (რუსეთი), დინამო (რუსეთი), მბკ ოდესა (უკრაინა); C ჯგუფი: ევრაზი (რუსეთი), ნეპტუნასი (ლიტვა), ხიმიკი (უკრაინა), როკი (ესტონეთი); D ჯგუფი: ავტოდორი (რუსეთი), შიაულიაი (ლიტვა), ვალმიეტა (ლატვია), ტტუ (ესტონეთი).

როგორც ხედავთ, 11 გუნდია, „დინამოს" ჯგუფთან ერთად კი — 15. თითო ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი მერვედფინალიდან გააგრძელებს ბრძოლას ჩრდილოკონფერენციის ჩემპიონობისთვის. ამასობაში დანარჩენი სამი კონფერენციაც გამოავლენს თავის ჩემპიონს და ოთხთა ფინალიც გაჩაღდება.

და მთავარი: ოთხთა ფინალის სამი საუკეთესო გუნდი ავტომატურად აინაცვლებს ფიბა-ევროპის ჩემპიონთა თასზე, რომელში მონაწილეობასაც ლამობდნენ წლეულს დინამოელები და არ გამოუვიდათ.

ახლა კი „დინამოს" მეტოქეებზე მოვყვეთ, რომელთაგან, რაღა თქმა უნდა, რუსული „ლოკომოტივია" ყველაზე ძლიერი და სხვებთან შედარებით ორი სიტყვით მეტს ამ კლუბზე მოგახსენებთ. რკინიგზელები თბილისელებთან და ბაქოელებთან დაიკვეხნიან, თორემ საკუთრივ რუსეთში ბოლო სეზონში დიდი ვერაფერი გუნდი ჰყავდათ. მინვოდელებმა რეგულარულ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავეს და რუსული ოქროსთვის ბრძოლა პლეი ოფში ველარ გააგრძელეს.

დიდი ტრადიციებითაც ვერ დაიკვეხნიან რკინიგზელები. მათი „ოქროს ხანა" აგერ, ბოლო 3-4 წელი გრძელდებოდა და შარშან დასრულდა. გუნდი კი მინვოდელებს 1960 წელს შეუქმნიათ, როცა ჩრდილოკავკასიისა და ორჯონიკიძის სარკინიგზო გზები შეერთებულა. „ლოკომოტივის" პიონერი მობურთალნი მემანქანეები ყოფილან, პირველი მწვრთნელი კი გრიგორი აბუმოვი იყო, რომლის ხსოვნის ტურნირიც ყოველწლიურად ტარდება საკურორტო ქალაქში.

„ლოკომოტივის" მწვერვალი რუსეთის ჩემპიონატში მოპოვებული ბრინჯაოა. რკინიგზელებს ერთხელ, 2002 წელს მოუგიათ რუსეთის თასი, ხოლო კორაჩის თასის შარშანდელ ფინალში ჩემპიონობა „ლოკოს" ფრანგულმა „ნანსიმ" არ დაანება.

მინვოდელებს არ მოეძევებათ ევროსტანდარტული დარბაზი და საერთაშორისო მატჩებს როსტოვში მართავენ. თუმც 22 იანვრიდან ახალი სპორტკომპლექსის მშენებლობა წამოიწყეს და ცდილობენ, ფიბა-ევროპის თასის მატჩებს წლეულსვე საკუთარ ქალაქში უმასპინძლონ.

მინვოდელთა ლიდერია ვასილი კარასიოვი, რუსეთის ნაკრების წევრი. ბოლო სეზონში რკინიგზელებს შემადგენლობაში ჰყავდათ თვით ნბა-ში ოდესღაც განთქმული, ახლა კი მოფამფლავებული ამერიკელი სედრიკ სებალოსი, რომელიც რამდენიმე თვის წინ წავიდა გუნდიდან. საერთოდ, „ლოკომოტივის" შემადგენლობაზე ლაპარაკი მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ჰგავს, რადგან, როგორც ცნობილია, მინვოდელებს თითქმის მთელი გუნდი დაუთხოვიათ და ახალს კრებენ.

რაც შეეხება ბაქოს „გალას", რიმას კურტინაიტისის მენავთობეთა შეწევნით წელგამართული გუნდი სამიოდ თვის წინ იმყოფებოდა თბილისში და დინამოელებსაც ებურთავა. „დინამოს" შტაბი მეტოქეთაგან ყველაზე კარგად აზერბაიჯანელებს იცნობს, რასაც ვერ ვიტყვით უკრაინის ქიმიური ინდუსტრიის ქალაქ სომის „სომიხიმპრომზე".

„ქიმიკოსებმა" უკრაინის რეგულარულ ჩემპიონატში წლეულს მე-7 ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალში „ბკ კიევთან" დამარცხდნენ. „სუმიხიმპრომს" არ ჰყავს ლეგიონერები, თუმც შესაძლოა, ნოემბრამდე შეიმატოს და მოდით, შემადგენლობაზე ნუღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

მთავარი მუშაობა ახლა იწყებაო, გვითხრეს გუშინ „დინამოში". აგენტურულ საქმიანობას გავაჩაღებთ, ინფორმაციებს მოვიპოვებთ და კენჭისყრის შედეგზეც მერე გავაკეთებთ კომენტარსო. თუმც, დინამოს მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ აქედანვე თქვა — რაგინდ ძლიერი მეტოქეებიც უნდა იყვნენ, ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ჯგუფიდან გასვლა იქნებაო.

**ირაკლი პერტაია**

**A ჯგუფის მატჩების განრიგი**

6 ნოემბერი
**დინამო — სუმიხიმპრომი**
19 ნოემბერი
**გალა — დინამო**
27 ნოემბერი
**ლოკომოტივი — დინამო**
4 დეკემბერი
**სუმიხიმპრომი — დინამო**
10 დეკემბერი
**დინამო — გალა**
18 დეკემბერი
**დინამო — ლოკომოტივი**

# ფრთხილად, სექსია!
## კობი ბრაიანტი ქალმა გაჭედა

კობი ბრაიანტს პატიმრობა ემუქრება. კოლორადოს შტატის დაბა იგლ ქანთრის ბრალმდებელმა მარკ ჰარბერტმა ამ პარასკევს მას უკვე ოფიციალურად დასდო ბრალი ამავე შტატის ერთ-ერთი სამთო სასტუმროს მოსამსახურე ქალის გაუპატიურებაში. თუ ბრალდება დაუმტკიცდა, „ლეიკერსის" 24 წლის მსროლელს ოთხი წლით პატიმრობა ან — ცოტა უცნაური კია — 20 წლით პირობითი პატიმრობა ემუქრება.

სასამართლო პროცესი აგვისტოში დაიწყება და არავინ იცის, როდემდე გასტანს. ბრაიანტს მით უმეტეს გაუჭირდება ამერიკული სამართლის კლანჭებიდან დასხლტომა, რადგან მან აღიარა, იმ გოგონასთან სექსი მქონდაო. ბრაიანტი თავს იმით იმართლებს, რომ მას არ უძალადია, სექსი ორმხრივი ნებით წარიმართა და დამნაშავე არა კანონის არამედ ცოლის წინაშეა. თავადვე უთქვამს ცოლისთვის, შევცოდეო და ცოლმა, ვანესამაც, რამდენადაც ცნობილია, აპატია.

მაგრამ მარტო ბოდიშს რას აკმარებდნენ? გაუპატიურებული გოგონა, რომელიც ადვილი შესაძლოა, სულაც არ იყოს გაუპატიურებული, ცნობილ და მდიდარ კალათბურთელს უჩივის და ეცდება, რაც შეიძლება ძვირად დაუსვას წუთიერი ტკბობა. მომჩივანი მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ ასაკის კვალობაზე საკმაოდ მოხერხებული ჩანს. თვით ყოვლისშემძლე ამერიკელმა ჟურნალისტებმაც კი ვერ დაადგინეს მისი გვარსახელი. სასამართლო პროცესი რომ დაიწყება, გამოჩნდება, ვინც არის და შეუვალი კლდემამოსილებით მოჰყვება „მხოლოდ სიმართლეს"; ალბათ, ფაქტებსაც წარუდგენს სამართლის მცველებს. ფულიან ან სპორტსმენზე დაგეშილ დაზარალებულს ერთი უზარმაზარი უპირატესობა აქვს, ბრაიანტმა აღიარა მასთან სექსუალური კავშირი, ხოლო სექსუალური კავშირიდან სექსუალურ ძალადობამდე ერთი-ორი შესაბამისი ფაქტია.



კობი ბრაიანტმა ცოლთან კი მოინანია, მაგრამ კანონი არ ასვენებს

# ბებერმა ხარმა ჩიკაგოში დააპიპენა



„ჩიკაგოელ ხარებს" დაუბრუნდა ძველი ხარი სკოტი პიპენი. 90-იან წლებში მაიკლ ჯორდანის მარჯვენა ხელი, რომელმაც „ჩიკაგოში" გაატარა თავისი კარიერის პირველი 11 წელი და „ბულზს" ექვსი ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა, ახლა 37 წლისაა და ძველ გუნდში 5-წლიანი განშორების შემდეგ მობრუნდა.

„მე აქ იმისთვის დავბრუნდი, რომ ჩემი გუნდი პლეი ოფში დავაბრუნო, მე ჩემი კარიერის 16-ვე სეზონში მითამაშია პლეი ოფში და გაცდენას არც მომავალში ვგეგმავ" — თქვა პიპენმა პრესკონფერენციაზე.

მის არყოფნაში „ჩიკაგო" მაგრად გაწვალდა. გავიხსენოთ, რომ „ხარების" ქალაქიდან პიპენი 1998 წელს წავიდა, როცა დიდი „ჩიკაგო" დაიშალა. მან ერთი სეზონი „ჰიუსტონში" ითამაშა, ბოლო ოთხი კი „პორტლენდში". მისი ლიდერობით „პორტლენდი" 2000 წელს დასავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა. მობერებულმა პიპენმა მოგვიანებით სხვებს დაუთმო გუნდში ლიდერობა.

„ჩიკაგო" კი მის არყოფნაში ერთხელაც ვერ მოხვდა პლეი ოფში და თუ არ ჩავთვლით ბოლო, შედარებით ხეირიან სეზონს, მუდამ აუტსაიდერებში ეწერა.

ერთიც ვთქვათ, პიპენის ძველ გუნდში დაბრუნება „ჩიკაგოს" ახალ გენმენეჯერს და სკოტის ძველ თანაგუნდელს ჯონ პაქსონის ინიციატივა იყო. პიპენი არასდროს გაიხედავდა „ბულზისკენ", ძველი ხელმძღვანელის ჯერი კრაუზეს დროს.

„ჩიკაგოს" არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება, მაგრამ გაირკვა, რომ პიპენი მინიმუმ ორი წლით და 10 მილიონად მივიდა ძველ გუნდში.

**კოტე ყორშია**






„დათვების“ მწვრთნელმა რამაზ სანებლიძემ „ლოკომოტივს“ და მის დამრიგებელს თემურ ბენდიაშვილს სპორტულად უჩივლა

# თბილისელებმა თასი დაიჭირეს, ბათუმელებმა — პროტესტი

## კვინიხიძემ დათვები დაბოგა

საქართველოს თასი. ფინალი

### ლოკომოტივი 32:30 დათვები

20 ივლისი. თბილისი «ლოკომოტივი» 19.30 საათი

**ლოკომოტივი:** ასათიანი, გუგავა, გიგაური, ალანია, ძნელაძე, კვინიხიძე, სამხარაძე; ჭელიძე (გასვიანი), ჯაველიძე (მაჭუტაძე), კერესელიძე (კიკუაშვილი), ბერძენიშვილი (კახიანი), დათუნაშვილი, მაისურაძე, ა. კობახიძე, კ. კობახიძე (ცხადაია)

2ლ: მაისურაძე, ძნელაძე; 2გ: კვინიხიძე; ნს: კვინიხიძე; ს: კვინიხიძე

**დათვები:** მაჩიტიძე, პინჩუკოვი, იურინი, ხონელიძე, სვინტრაძე (დავლიანიძე), ჩუბინიძე, კიკაჩეიშვილი; ღლონტი, ბალანჩივაძე (გურეშიძე), ნინიძე, ალიქაძე, პარწიკანაშვილი (ბერიძე), ცხვედიანი, სვანიძე (კიკვიძე), ჩირგაძე

3ლ: ღლონტი, ხონელიძე, სვინტრაძე; 3გ: მაჩიტიძე, 3ს: მაჩიტიძე

**მსაჯი:** ზაზა ლეჟავა

**თბილისის** „ლოკომოტივმა“ ოთხი წლის განმავლობაში მეორედ მოიპოვა საქართველოს თასი და მეორედვე ფინალში ბათუმის „დათვები“ დაამარცხა. მატჩის შემდეგ რომლის ბედი ბოლო წამზე გადაწყდა, ზღვისპირელთა მთავარი მწვრთნელი რამაზ სანებლიძე აღშფოთებას ვერ მალავდა. იგი მსაჯს, ყოფილ ბორჯღალოსან ზაზა ლეჟავას შემოსწყრა და ეს საკმაოდ ემოციურად გამოხატა. ბათუმელთა მწვრთნელი ვერც გასახდელში დაწყნარდა. მისი აზრით, ლეჟავამ ნაადრევად დაასრულა შეხვედრა, მაშინ, როცა „ლოკომოტივმა“ გამარჯვების ლელო გაიტანა. „ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ, მათ ბოლომდე იბრძოლეს, თავი არ დაუზოგავთ, მსაჯი კი ტენდენციური იყო“ — ასეთია სანებლიძის კომენტარი.

ზღვისპირელთა ხელმძღვანელობა მარტო სათქმელს არ დასჯერდა, და მატჩის შედეგი გააპროტესტა. რა და როგორ იქნება, ამას საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს, მანამდე კი თბილისელი რკინიგზელები თასის მფლობელები არიან და ეს მათ მართლაც დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში მოახერხეს.

მატჩის ბოლო წამამდე წინ ბათუმელები იყვნენ. ისინი 30:25 იგებდნენ, როცა რკინიგზელები ბოლო შტურმზე გადავიდნენ და ხელდახელ ჩათამაშებული ბურთი თბილისელთა გარემარბმა დემირ ძნელაძემ ზღვისპირელთა ლელოში შეიტანა. ძნელაძემ ეს ლელო ორი მეტოქის მარწუხებში მოქცეულმა გაახერხა. ამის მერე ყველაფერი „ლოკომოტივის“ მე-10 ნომერ ბობა კვინიხიძეზე იყო დამოკიდებული. გაიტანდა გარდასახვას — თასს „ლოკომოტივი“ მოიგებდა, ვერა და დამატებითი დრო დაინიშნებოდა. კვინიხიძეს ამ გადამწყვეტ მომენტში ფეხი არ აჰკანკალებია და საკმაოდ მახვილი კუთხიდან ბურთი ბათუმელთა კარში ჩასვა. აქვე ვთქვათ, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშე კვინიხიძე იყო და მისმა ფეხჩუბინობამ გაამარჯვებინა რკინიგზელებს.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თასი მოვიგეთ. გამარჯვებას მეტოქეც იმსახურებდა, მაგრამ თასს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს“ — ეს კვინიხიძის კომენტარია.

თავად მატჩი კი, მართალია, ძალიან დაძაბული გამოდგა, მაგრამ სანახაობრივად მოიკოჭლებდა, ორივე გუნდის მორაგბეები ბევრს სცოდავდნენ და ჯაჯგური უფრო სჭარბობდა, ვიდრე გახსნილი, კომბინაციური თამაში.

ვერ გაამართლა მატჩზე უფასო დასწრებამ. „ლოკომოტივის“ სტადიონზე ხუთასამდე მოსეირე მოვიდა და დასავლეთის ტრიბუნა აქაიქ შეივსო. აღმოსავლეთით კი ბათუმიდან ჩამოსული ოცამდე გულშემატკივარის შეძახილები ისმოდა.

თავიდან „ლოკომოტივი“ დაწინაურდა. კვინიხიძის ძალიან ლამაზ არეკნს და სამ საჯარიმოს ზღვისპირელმა კახა მაჩიტიძემ ერთი დარტყმით უპასუხა. პირველი ტაიმის მიწურულს ბათუმელთა შერკინებამ ივარგა და მინდია ღლონტმა ლელო გაიტანა. საქართველოს ჩემპიონმა და თასის შარშანდელმა მფლობელმა „დათვებმა“ მეორე ტაიმში კიდევ ორი ლელო გაიტანეს, მაგრამ ამათ შორის, თავიანთი დაუდევრობის გამო, მაისურაძის ლელო მიიღეს, რასაც კვინიხიძემ გარდასახვა და ორი საჯარიმო დაურთო. ანგარიშში სხვაობა თითქმის ყოველი შეტევის შემდეგ იცვლებოდა, ხან „ლოკომოტივი“ იყო წინ, ხანაც „დათვები“. ეს „დაჭერობანა“ მატჩის ბოლო წამამდე გაგრძელდა. მერე კი ის იყო, თავში რომ მოგახსენეთ.

**ბაჩო სვანიძე**

სამი ერი 2003

# ავი და შავი აფრიკას

19 ივლისი. პრეტორია

### სამხრეთ აფრიკა 16:52 ახალი ზელანდია

**ს. აფრიკა:** რასელი (პრეტორიუსი), ტერბლანში, სნიმანი, ბერი, უილიამსი, კოენი, იუსტ ფანდერ ვესტჰოიზენი (დევიდსონი); სეპაკა, კუტცე (სანტონი), ბენტსი (კემპსონი), ბოთა (ბუმი), მედფილდი, კრიხე (კაპ), ჰირდენი (ვანენბურგი), სმიტი

1ლ: უილიამსი; 1გ: კოენი; 2ს: კოენი; 1ა: კოენი

**ახ. ზელანდია:** მულიაიანა, ჰაულეტი, უმაგა, მეიჯორი, როკოკოკო, სპენსერი, დივაინი (მარშალი); ჰიუიტი (მიიუსი), მილამუ (ჰამეტი), სამერვილი, ჯეკი, ა. უილიამსი (ბ. თორნი), რ. თორნი (კაპ), მაკქოუ, კოლინზი (სოოიალო)

7ლ: სპენსერი, ჰაულეტი (2), როკოკოკო (2), მიუსი, მეიჯორი; 4გ: სპენსერი; 3ს: სპენსერი


ახალზელანდიელთა კაპიტანი რუბენ თორნი აფრიკელთა დაცვას მიანგრევს

ახალმა ზელანდიამ რიხით დაიწყო წლევანდელი სამი ერი. „ოლ ბლექსმა“ მსოფლიოს ჩემპიონის, ავსტრალიის მომრევი სამხრეთ აფრიკა მისსავე მოედანზე მიანგრია და ცხრილის სათავეში მოექცა.

ჯონ მიტჩელის გადახალისებულმა „შავებმა“ მართლაც რომ შავი დღე აყარეს აფრიკელებს. დავიწყოთ იმით, რომ ახალზელანდიელებს „ქურციკები“ ამხელა სხვაობით აქამდე არ დაემარცხებინათ. ამათში შორის ანგარიშში რეკორდული სხვაობა 1999 წელს დანიდინში დაფიქსირდა. მაშინ „ოლ ბლექსმა“ 28:0 იმარჯვა. ამასთან, „შავებმა“ 7 ლელო გაიტანეს, რაც მანამდე ერთხელ, 1997 წელს მოეხერხებინათ.

სამხრეთ აფრიკამ კი 36-ქულიანი სხვაობით პირველად წააგო სამ ერზე და 50 ქულაზე მეტით მეორედ წააგო. „ქურციკები“ პირველად შარშან ინგლისთან შერცხვნენ — 3:55.

ახალმა ზელანდიამ კი მნიშვნელოვანი 5 ქულა მოიპოვა. 4 მოგებისთვის, ერთიც პრემიალური სამი და მეტი ლელოს გატანისთვის.

მატჩის გმირი გახდა „ოლ ბლექსის“ მე-8 ნომერი ჯერი კოლინზი, რომელმაც აფრიკელთა მორკინალები აქეთ-იქით ათრია და მისიანების 7 ლელოში დიდი წილი დაიდო. ჯონ მიტჩელს ძალიან გაუმართლა ოკლენდელმა ჯო როკოკოკომაც, რომელიც ღირსეულად ცვლის ჯონა ლომუს და „შავების“ მარცხენა ფრთას ამაგრებს. მიტჩელი არც მარჯვენა გარემარბმა დაგ ჰაულეტმა დაალალატა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი გამორჩეულად მაღალია და აკი შარშან ლამის ყველა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

მატჩის ანტიგმირიც ახალზელანდიელია: ქიის მიიუსი შეცვლაზე შევიდა და უმალ ლელო გაიტანა. თუმც მერე მეტოქე რობი კემპსონს ჩხუბი აუტეხა და ცხვირში ვეება მუშტი უთავაზა, აქაოდა, ლელოს გატანისას სახე დამიკაწრეო.

„დარწმუნებული ვარ, სამ ერს მოვიგებთ და მერე მსოფლიოს ჩემპიონებიც გავხდებით. ძალიან კარგი თაობა მოდის და ამ გუნდით ნებისმიერ მეტოქეს მივანგრევთ“ — მატჩის შემდეგ დიდ გულზე იყო ახალზელანდიელთა ხოტორა მწვრთნელი ჯონ მიტჩელი.

**ბაჩო სვანიძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +36 | 5 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 0 | 1 | -32 | 4 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |

მომდევნო ტური

26 ივლისი

ავსტრალია — ახ. ზელანდია

ჭიდაობა

# მოჭიდავეებმა კავკასიური სახლი აიშენეს

კავკასიურ ტურნირებში მონაწილეობით მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობენ ქართველი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. დაღესტნის შემდეგ ჩვენები ჩრდილო ოსეთს ესტუმრნენ. ვლადიკავკაზის საერთაშორისო ტურნირი მახაჩყალისაზე პრესტიჟულია და იქ მოპოვებული 4 მედალი კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. მით უმეტეს, ოსეთში არ ჩასულან ნაკრების ლიდერები — მსოფლიოს ჩემპიონი ელდარ კურტანიძე და ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი.

60 კილოგრამამდე წონაში გაიმარჯვა გორელმა დავით პოღოსიანმა. მეორე ადგილზე გავიდა მძიმეწონოსანი ალექსი მოდებაძე. ფინალის დამატებით დროში ჯვარედინი მოვლების დროს პირველი მას გაეშვა ხელი და ვერცხლის მედალ დასჯერდა.

პოღოსიანისა და მოდებაძისგან ყველა რანგის ტურნირში ველით წარმატებას. ბესარიონ გუჩაშვილის და ოთარ თუშიშვილის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედლები კი იმაზე მეტყველებს, რომ ისინიც ნორმალურ ფორმაში არიან და მზადყოფნით ხვდებიან მსოფლიოს ჩემპიონატს.

**შოთა ქობალეიშვილი**

ჰოკეი

# იხვებმა ფიოდოროვი ჩაყლაპეს

„მძლავრი იხვები“ კიდევ უფრო მომძლავრდნენ. სტენლის თასის ფინალში გასვლით მადაზე მოსულებმა დიდი ჟინით იბრძოლეს და კონკურენტებს გემრიელი ლუკმა გამოსცინცლეს პირიდან. შაბათ ღამეს ანაჰაიმმა სერგეი ფიოდოროვთან მოაწერა ხელი 5-წლიან და 40-მილიონიან კონტრაქტს. ასე დასრულდა რუსისა და „დეტროიტ რედ უინგზის“ 13-წლიანი შეხმატკბილებული ცხოვრება და რუსის კარიერაში დაიწყო „ანაჰაიმ მაითი დაქსის“ ერა.

ანაჰაიმში ფიოდოროვის წლიური ჯამაგირი საშუალოდ 8 მილიონ დოლარს სწვდება, რაც ზუსტად ორჯერ ნაკლებია იმაზე, რასაც ყოფილი კლუბი სთავაზობდა (4 წელი და 40 მილიონი).

ფიოდოროვის თქმით, მთავარი ის არის, რომ ახალ კლუბში მას გაცილებით მეტი სათამაშო დრო ექნება. „ანაჰაიმი ძლიერი გუნდია, სულაც არ იყო შემთხვევითი, ფინალში რომ გავიდა. მან ნიუ ჯერსისთან სერიაში მე-7 თამაშამდე მიიყვანა საქმე, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ეს შემთხვევითი წარმატება არ არის“ — განაცხადა ფიოდოროვმა სატელეფონო ინტერვიუში. ახალ გუნდში რუსი კარგ ხასიათზე მიდის, რაც იოლი ასახსნელია — ფიოდოროვი ანაჰაიმში პირველი მოთამაშე იქნება.


სერგეი ფიოდოროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 54-ე მსოფლიო ჩემპიონატი მეთერთმეტე ეტაპი**

# ტრიუმფატორი, გიჟი და უბედური




REUTERS სილვერსტოუნიდან

რუბენს ბარიკელომ ბრიტანული დიდი პრიზი პირველად დაიკავა

ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო „სილვერსტოუნის" ავტოდრომზე გამოჩენისთანავე დიდ გულზე იყო, ინგლისში მოსაგებად ჩამოვედი: „ცხადია, სან პაულუს „ინტერლაგუში" ჩემი მშობლიური ტრასაა, მაგრამ ყველაზე უკეთ სწორედ „სილვერსტოუნს" ვიცნობ. მე ხომ აქ 1990 წლიდან გამოვდივარ და ყველა პილოტზე მეტი კილომეტრაჟიც დამიგროვდა. რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში, აეროდინამიკისა და საბურავების ტესტირებისას, ჩვენმა „ფერარი F2003GA"-მ მშვენიერი შედეგები აჩვენა. ის ფაქტიც, რომ რბოლისას წინა ორ „ცხელ" ეტაპთან შედარებით ვგრილდება, ვფიქრობ, ჩვენი ბორბლების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ერთი სიტყვით, იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ ფინიშთან მეორე მივიდე."

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ბარიკელოს წინასწარმეტყველება გამართლდა. 31 წლის პილოტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. „ბრიჯსტოუნის" ახალფეხსაცმლიანი მისი სისხლისფერი ბედაური მეტოქეებისაზე უსწრაფესად და უხინჯოდ დაქროდა, მძღოლმაც დიდოსტატურად წარმართა საათნახევრიანი პაექრობა ისე,რომ მისხალი შეცდომაც არ მოსვლია და 11-წლიან კარიერაში პირველად გაიმარჯვა ბრიტანეთში, თანაც პირველი ჰეთ თრიქი (პოული, უსწრაფესი წრე, მოგება) გააკეთა. არადა, სარბოლო სამდღიური მისთვის მეტად უხეიროდ დაიწყო: პარასკევს, პირველი კვალიფიკაციისას ტრასიდან გავარდა და სულაც უშედეგოდ დარჩა, ამიტომ მეორე დღის ძირითად საპოულე სესიაში კონკურენტებზე ადრე მოუხდა გაჯირითება. ასეთი არახელსაყრელი ვითარების მიუხედავად, რუბინიომ ხუთკილომეტრიან ტრეკზე ისეთი სისწრაფით გაიქროლა, მისი დრო[illegible]ოლომდე მიუწვდომელი აღმოჩნდა. მეორე სასტარტო პოზიცია მოულოდნელად იარნო ტრულიმ დაიკავა, მეორე რიგში კი კიმი რაიკონენი და ბოლო ორი რბოლის მომგები რალფ შუმახერი დადგნენ, მიხაელ შუმახერი მხოლოდ მეხუთე იყო — მოსახვევში მცირე შეცდომა და ბალახში გადასრიალება შვიდი მეათედი წამის დაკარგვად დაუჯდა.

დიდი ბრიტანეთის 54-ე დიდი პრიზის გათამაშება მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მიმზიდველ სანახაობად იქცა, რბოლისას იმდენი აღსანიშნავი რამ მოხდა, ნახევარ სეზონს ეყოფოდა.

ბარიკელომ სტარტი ჩააფლავა, მძიმედ დაიძრა და პირველ მოსახვევში ტრულიმ და რაიკონენმა შეასწრეს. მეორე ბრაზილიელმა, კრისტიანო და მატამ თავისთვის საუკეთესო მეექვსე სასტარტო პოზიცია დასაწყისშივე დაკარგა, აქეთ-იქიდან გვერდში ამომდგარმა ფერნანდო ალონსომ და ხუან-პაბლო მონტოიამ გაასწრეს, ხოლო რამდენიმე წამში მონტოიამ ალონსოსაც აუარა გვერდი. დევიდ კულჰარდმა სამი პოზიცია მოიგო, ჯენსონ ბატონმა — ხუთი. გასაკვირია, რომ ამდენი მიწევ-მოწევისა და გასწრების მიუხედავად, ერთი შეჯახებაც არ მომხდარა და არავინ გამოთიშულა.

ქარავანს მხოლოდ ხუთიოდე წრე ჰქონდა გავლილი, როცა ტრასაზე უსაფრთხოების „მერსედესი" გამოჩნდა. კულჰარდის მანქანიდან მომძვრალი პილოტის თავ-კისრის დამცავი საყელური შუა გზაზე დავარდა და საშიში სიტუაცია შეიქმნა. „მაკლარენში" ახალი საყელურის ჩამაგრებას ბოქსებში თითქმის ნახევარი წუთი კი მოანდომეს, მაგრამ შოტლანდიელს ძალიანაც არ უზარალია, რადგან პელოტონი თვინიერად, კუს ნაბიჯით მიჰყვებოდა „პეისკარს".

ორი წრის მერე რბოლა გაგრძელდა. ხუთიოდ წუთში ბარიკელომ უზუსტესი მანევრისა და აშკარად უფრო სწრაფი ბედაურის წყალობით რაიკონენის „მაკლარენი" უკან მოიტოვა და ყველაზე წინ მყოფ ტრულისაც იგივე დაუპირა, მაგრამ არ დასცალდა უსაფრთხოების მანქანის მეორედ გამოსვლის გამო. მიზეზი ვიღაც შეშლილი გახდა, რომელიც შოტლანდიურ სამოსში გამოწყობილიყო და ხელში რელიგიური პლაკატები ეჭირა. 56 წლის კაცმა როგორღაც მოახერხა ტრასაზე გადმორბენა. მრბოლებმა ძლივს აუარეს გვერდი. ბოლოს ერთმა სტიუარდმა იყოჩაღა, „ხულიგანს" გამოეკიდა, ხელი ჰკრა და წააქცია, მერე კი ტრასიდან გადაათრია და პოლიციას ჩააბარა.

ამ მეორე იძულებითი შეყოვნებით ყველამ ისარგებლა და ბოქსებთან რიგი დადგა, ქარავანის სათავეში კი ისინი აღმოჩნდნენ, ვინც პირველი შეფერხებისას ჩაიმატეს საწვავი: და მატა, პანი, კულჰარდი, ტრული, რაიკონენი, რალფ შუმახერი, ფირმენი, ბარიკელო. მონტოია მე-12 იყო, მიხაელი მე-14.

„პეისკარმა" მიუშვა თუ არა, რაიკონენმა იოლად გაასწრო ტრულის, იმავე წრეზე კულჰარდიცა და პანიც მიაყოლა და მეორე გახდა. ბარიკელომაც ადვილად მოინელა ფირმენი და რალფი, რომელსაც აშკარად პრობლემები შეექმნა. ყველას ორ-ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდა, პატარა შუმის კი მესამედაც მოუწია ბოქსებში სტუმრობა, რამაც წლეულს პირველად ჩასათვლელ რეიანის მიღმა დატოვა.

ალონსოსა და ვილნევის უკან „გაჭედილ" მიხაელს დიდხანს მოუხდა მათ გასასწრებად ჯახირი. მართალია, ბოლოს და ბოლოს მოახერხა ბევრად ნელი მეტოქეებისგან თავის დაღწევა, მაგრამ ლიდერებთან ნახევარწუთიანი ჩამორჩენის გამო მოგების ყოველგვარი შანსი გადაეწურა. თუმცა, ცხადია, ბრძოლა ბოლომდე არ შეუწყვეტია, კიდევ რამდენიმე პილოტი ჩამოიტოვა და ასეთ ვითარებაში მეოთხე ადგილითაც უკმაყოფილო არ უნდა იყოს.

პიტსტოპების მეორე სერიის შემდეგ ქარავანი ისევ აირია. გალიდერებულ რაიკონენს კვლავ ბარიკელო აედევნა და თითქმის ყოველ მოსახვევში უტევდა გასასწრებად. ის დღე ალალად რუბენსის იყო, ისე შეაწუხა ფინელი, რომ მორიგი იერიშისას შეცდომა დააშვებინა და მოწინავეობა ჩამოართვა. რაიკონენი მეორედაც შეცდა, ფინიშამდე ათიოდე წრეღა რჩებოდა, როცა მოსახვევში ბოლიდი ტრასიდან გადაუცურდა და მონტოიას უკან აღმოჩნდა.

წლეულს პირველი რბოლის მოგებით უზომოდ გახარებულმა ბარიკელომ პოდიუმზე წაიტირა კიდეც, პრესკონფერენციაზე კი ბრძანა: „ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო რბოლა იყო. სტარტზე მცირე პრობლემები კი მქონდა, მაგრამ შემდეგ მანქანა სწრაფად წავიდა და „ბრიჯსტოუნის" საბურავებმაც მშვენივრად „იმუშავეს". იმედია, ახლა მაინც შეწყდება ლაპარაკი იმაზე, აქაოდა, ბარიკელო ერთი წრის პილოტია, მერე კი ავარიაში ხვდებაო".

რაც შეეხება იმ 56 წლის შოტლანდიელ შლეგს, ვირის აბანოში ალბათ კარგა ხნით აყურყუტებენ. ის კი გადაურჩა ტრასაზე სიკვდილს, მაგრამ „სილვერსტოუნზე" უბედურება მაინც მოხდა — მისი ტოლი ინგლისელი მრბოლი დევიდ ჰეინსი საფორმულო ეტაპის შემდეგ ისტორიული ბოლიდებით გაჯიბრებისას, 1958 წლის „ლოტუსით" ბარიერს შეასკდა და სული დალია.

**გია ახალაძე**



REUTERS სილვერსტოუნიდან

პილოტებმა იმ გადარეულს გვერდი ძლივს აუქციეს

## რბოლის შედეგები

**დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი**
**20 ივლისი. სილვერსტოუნი**
დისტანცია — 60 წრე — 308,356კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ბარიკელო (ფერარი) | 1:28.37,554 (208,8კმ/სთ) |
| 2. | (7) | მონტოია (უილიამსი) | ჩამორჩა 5,462 |
| 3. | (3) | რაიკონენი (მაკლარენი) | 10,656 |
| 4. | (5) | მ.შუმახერი (ფერარი) | 25,648 |
| 5. | (12) | კულჰარდი (მაკლარენი) | 36,827 |
| 6. | (2) | ტრული (რენო) | 43,067 |
| 7. | (6) | და მატა (ტოიოტა) | 45,085 |
| 8. | (20) | ბატონი (B.A.R) | 45,478 |
| 9. | (4) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 58,032 |
| 10. | (9) | ვილნევი (B.A.R) | 103,569 |
| 11. | (13) | პანი (ტოიოტა) | 105,207 |
| 12. | (14) | ფრენცენი (ზაუბერი) | 105,564 |
| 13. | (17) | ფირმენი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 14. | (11) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 15. | (19) | ფერსტაპენი (მინარდი) | 2 წრით |
| 16. | (18) | უილსონი (მინარდი) | 2 წრით |
| 17. | (16) | ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (8) | ალონსო (რენო) | გაიარა 52 წრე |
| (15) | ფიზიკელა (ჯორდანი) | 44 |
| (10) | პიცონია (იაგუარი) | 32 |

ფრჩხილებში - საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
ბარიკელო [illegible]

საუკეთესო წრე
[illegible]

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 4 | 6 | 5 | | | | | | 69 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | 8 | 3 | – | 5 | 6 | | | | | | 62 |
| 3 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | 10 | 6 | 8 | 8 | 8 | | | | | | 55 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | 3 | 5 | 8 | 10 | 10 | – | | | | | | 53 |
| 5 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | 1 | 4 | 6 | 2 | 10 | | | | | | 49 |
| 6 ალონსო რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | 4 | 5 | 5 | – | – | | | | | | 39 |
| 7 კულჰარდი მაკლარენი, დ.ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | 2 | – | – | 4 | 4 | | | | | | 33 |
| 8 ტრული რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | 1 | 3 | – | – | – | 3 | | | | | | 16 |
| 9 ვებერი იაგუარი, ავსტრალია | – | – | – | – | 2 | 2 | – | 2 | 3 | 3 | – | | | | | | 12 |
| 10 ბატონი B.A.R, დ.ბრიტანეთი | – | 2 | – | 1 | – | 5 | – | – | 2 | – | 1 | | | | | | 11 |

ფიზიკელა (ჯორდანი) — 10; ფრენცენი (ზაუბერი) — 7; და მატა (ტოიოტა) — 5; ვილნევი (B.A.R) — 3; ჰაიდფელდი (ზაუბერი), პანი (ტოიოტა) — 2; ფირმენი (ჯორდანი), — 1 ქულა

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 5 | 11 | – | 16 | 16 | 16 | 7 | 14 | 10 | 8 | 15 | | | | | | 118 |
| 2 უილიამსი | 9 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 | 15 | 14 | 18 | 18 | 8 | | | | | | 108 |
| 3 მაკლარენი | 16 | 10 | 13 | 12 | – | 12 | 10 | 3 | – | 9 | 10 | | | | | | 95 |
| 4 რენო | 6 | 10 | 7 | 3 | 8 | 1 | 7 | 5 | 5 | – | 3 | | | | | | 55 |
| 5 B.A.R | – | 2 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 2 | – | 1 | | | | | | 14 |

იაგუარი — 12, ჯორდანი — 11, ზაუბერი — 9, ტოიოტა — 5 ქულა

# გილერმო კორია: მეოთხე რეიხი

**MERCEDES CUP**
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 765 ათასი ევრო

**ფინალი**

**გილერმო კორია (არგენტინა) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2, 6:2, 6:1**


გილერმო კორია

არგენტინელთა უპირველესმა მეჩოგნე გილერმო კორიამ ბოლო ორ თვეში თავისი მეორე გერმანული ტიტული მოიმკა.

მათთვის, ვისაც არ ახსოვს, თუ რომელი იყო კორიას პირველი გერმანული ტიტული, საგანგებოდ მოვიგონებთ:

ნიჭიერმა გაუჩომ, ვისაც ამ სეზონში 11 მარცხის წილ უკვე 37 გამარჯვება დაუგროვდა, მაისში ჰამბურგულ მასტერსტურნირზე იმარჯვა.

რაც შეეხება მის საკუთრივ შტუტგარტულ ჩაუქობას, ეს მართლაც საარაკო რამ გახლდათ — ტიტულამდე მიმავალ გზაზე კორიას ერთი სეტიც არ წაუგია, ხუთ მეტოქეს მხოლოდ 19 გეიმი დაუთმო, ხოლო ფინალში შეხლილ ტომი რობრედოს საათსა და ორმოც წუთში გადაუარა.

შედეგად მიიღო 118 ათასი ევრო და გასისინებული „მერსედეს-ბენც CLK 240 კაბრიოლეტი“ პლუს 50 საჩემპიონთარბოლო ქულა, რისი წყალობითაც რეიტინგსიაში აქამდე პყრობილი მეოთხე ადგილი კიდევ უფრო გაიმყარა. მის წინ იქ მხოლოდ როჯერ ფედერერი, ხუან კარლოს ფერერო და ანდრე აგასი დგანან.

და კიდევ — კორიამ კარიერის მეშვიდე ფინალი ითამაშა და მესამე ტიტული მოიგო.

**DUTCH OPEN**
ამსტერდამი. თიხნარი
საპრიზო 355 ათასი ევრო

**ფინალი**

**ნიკოლას მასუ (ჩილე) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:3), 6:2**

სანამ კარიერის მეოთხე ფინალში ითამაშებდა, მეორე ტიტულს მოინაგრავდა და 35 საჩემპიონთარბოლო ქულასთან ერთად 52 ათას ამერიკულ დოლარს მოხსნიდა, ჩილელმა ნიკოლას მასუმ ისე-რა მეჩოგნეებს აჯობა. ეს მეჩოგნეები მაროკოელი ჰიშამ არაზი, ბრაზილიელი ანდრე სა, ჰოლანდიელი დენის ვან შეპინგენი და პერუელი ლუის ორნა იყვნენ.

თუკი ამათგან მხოლოდ არაზის გვარი გვეცნობა, ეგ არა უშავს — მასუს გამარჯვებას ეს გარემოება ვერ დააკნინებს.

რაემონ სლოიტერმა კი თავის მესამე ფინალი იჩოგნავა. მესამის დარად წინა ორიც ჰოლანდიაში მოხდა და — ვაგლახ — 25 წლის დაჩკაცს შინაურ ნიადაგზე ერთი ტიტულიც არ დაეკვეხება.

**ფედერაციის თასი მეოთხედფინალი**

# ჰანტუხოვა კამერებს ტელევიზორთან დაემალა

**ბელგია — სლოვაკეთი 5:0; აშშ — იტალია 5:0; საფრანგეთი — ესპანეთი 4:1; რუსეთი — სლოვენია 5:0**

მეოთხედფინალის უმთავრესი შედეგი ის იყო, რომ კიმ კლაისტერსმა და ჟუსტინ ენენ-არდენმა (რომლის გვარის გრძელობის გამო ამიერიდან და უკუნითი უკუნისამდე ჟუსტინ მხოლოდ-ენენად მოვიხსენიებთ), სანახევარფინალოდ მოსისხლე მტრებთან, ამერიკელ მდედრებთან დაპირისპირება გაიჩალიჩეს.

მათ მიერ შარშანდელი ჩემპიონების, სლოვაკების ძლევას გადავლა უფრო ედგმოდა — ფუმფულა კიმმა 40 წუთში 6:0, 6:1 მოთელა ათას კორტზე გადამხტარი ჟანეტ ჰუსაროვა, ენენმა კი — რომელსაც, სხვათა შორის, უცხოელებიც მხოლოდ-ენენად მოიხსენიებენ — ევა ფისლოვას 6:2, 6:1 უბრახუნა.

ეგ ამბავი ლოგიკურიც იყო, რაკიღა სლოვაკებს არ ჰყოლიათ მათი სექსფეხება ჭაკი დანიელა ჰანტუხოვა, ვინაც — ეტყობა იმის შიშით, რომ მისი ამჟამინდელი ბითური ფორმიდან გამომდინარე გაპარტახება ელოდა — ბელგიელ სუპერგოგონებთან ჩოგან-ჩოგან შეპირისპირებას შინ, ტელევიზორთან პოპკორნობა არჩია.

ამ მატჩთან დაკავშირებით ისიც არის სათქმელი, რომ მოქმედი ჩემპიონი მეოთხედფინალში ზედიზედ მეორედ დაიჩოგნა. სლოვაკებამდე ერთი წლით ადრე სწორედ წინა წლის ჩემპიონი ბელგიელები იძლივნენ იტალიელთაგან. მიზეზი ის იყო, რომ კლაისტერსმა და ენენმა ეროვნულზე წინ პირადი ინტერესები დაიყენეს.

და კიდევ — უჰანტუხოვო სლოვაკებმა ისე ჩაიფლავეს, ბელგიელებისთვის ერთი სეტიც არ გაუგდებინებიათ.

ახლა დანარჩენ მატჩებზე.

17-გზის ჩემპიონ ამერიკელებს მსოფლიოს მერვე მეჩოგნე ჩანდა რუბინმა უყოჩა — სერენამ მუხლი მოისატკივრა, ვინუსმა დაჭიმული მუცელი, ლინდსი დევენპორტი და ჯენი კაპრიატი კი ნაკრების კაპიტანს, ლეგენდარულ ბილი ჯინ-კინგს — ხავერდოვნად რომ ვთქვად — მავრად არ ევასება...

ფრანგთა მიერ ესპანელ ბუთქუნათა ძლევაში ძუ ლომის წვლილი დაიდო ამელი მორესმომ, ხოლო რუსებს რომ ქალთა კორტებზე ტამანის დივიზია შეუძლიათ გამოიყვანონ, ეგ უკვე დასტურ არახალი ამბავია.

ჰოდა, გამოიყვანეს კიდეც.

**ლევან ძელაურაძე**



**ტურ დე ფრანსი 2003**

*ტურ დე ფრანსზე ლიდერის ყვითელი მაისურისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ჩემპიონ ლენს არმსტრონგს თუმც ჯერ არ დაუთმია ლიდერობა, მაგრამ მისი შენარჩუნება ახლა ისე უჭირს, როგორც არასდროს, ველოსიპედზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ამხედრებული იან ულრიხიც შარშანწინდელივით და იმისწინდელივით იოლი მოსაშორებელი არაა*

# ლენს არმსტრონგი წაქცეულიც გაიქცა


ლენს არმსტრონგი (მარცხნივ) წაიქცა და იბან მაიოც წაიყოლა

**ლიდერთა დავაში** ჩაერია ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვიც და არმსტრონგისთვის წყალს ამღვრევენ ესპანელი მთიელებიც იბან მაიო და აიმარ სუბელდია, რომლებისთვისაც ფრანგული პირინეები, სადაც ახლა ველოქარივანი მიედინება, თითქმის შინაური შარაგზებია და მათ იქ გულშემატკივართა ყველაზე ძლიერი არმია უჭერს მხარს. განსაკუთრებით ბასკ იბან მაიოს. ბასკები ხომ საფრანგეთშიც ცხოვრობენ და ტურის მე-15 ეტაპმა სწორედ ფრანგულ ბასკონიაზე ანუ, ფრანგულად რომ ვთქვათ, გასკონიაზე გაიარა.

მე-15 ეტაპის აღმართიან კილომეტრებზე არმსტრონგს ინციდენტი შეემთხვა და იქნებ სერიოზულადაც დაშავებულიყო, მაგრამ უბრალო წაქცევით გადარჩა და ის კი არა, ეტაპის მოგებაც კი შეძლო, სხვათა შორის, არმსტრონგმა მიმდინარე ტურზე პირველი ეტაპი მოიგო.

წაქცევით კი ტურის ლიდერი, შეიძლება ითქვას, სწორედ ბასკებმა წააქციეს, რომლებიც რამდენიმეკილომეტრიან მონაკვეთზე ათასობით შეგროვდნენ და იბან მაიოს ქომაგობასთან ერთად ხელსაც აქტიურად უშლიდნენ არმსტრონგს. ერთ მომენტში, როცა რამდენიმე კაცი გადაუდგა, ამერიკელმა წონასწორობა დაკარგა და წაიქცა. ამით ლიანგმა გვარიანად კი გაიხარა, მაგრამ ხალხს ის კი არ მოეწონა, რომ არმსტრონგს ზედ მის უკან მომავალი მაიოც წამოედო და ისიც ასფალტზე გაიშხლართა. მხოლოდ დაფეთებით გადარჩა იან ულირიხი. მან წონასწორობა არ დაკარგა და შემდეგ კაცურადაც მოიქცა — არმსტრონგს დაუცადა. ამით მან მადლობა გადაუხადა ამერიკელს ორი წლის წინანდელი ანალოგიური ჟესტისთვის.

საბოლოოდ კი არმსტრონგმა იმარჯვა და ოდნავ გაიმყარა ლიდერობა, თითქმის სამი წუთით ჩამოიტოვა ეტაპით ადრე 18 წამამდე მოახლოებული ვინოკუროვი, ხოლო ასევე მე-15 ეტაპამდე 15 წამამდე წამოწეულ ულრიხს წუთზე მეტით გაექცა.

მრბოლებს კიდევ ერთი მთიანი ეტაპი ელით, რომელიც დღეს გაიმართება და ბევრს გაარკვევს. შემდეგ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მე-19, ინდივიდუალური ეტაპი სადაც უპირატესობა ალბათ ულრიხისა იქნება.

| |
|---|
| **XV ეტაპი. 21 ივლისი** |
| **ბანრ დე ბიგორე — ლუზ არდიდენი 159.5 კმ** |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი ) 4სთ 29წთ 26წმ |
| 2 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 40წმ |
| 3 იან ულრიხი (გერმანია, ბიანკი) |
| 4 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკატელი) ორივე იგივე დრო |
| 5 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) + 43წმ |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1 ლენს არმსტრონგი 65სთ 36წთ 23წმ |
| 2 იან ულრიხი + 1წთ 7წმ |
| 3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 2წთ 45წმ |
| 4 აიმარ სუბელდია + 5წთ 16წმ |
| 5 იბან მაიო + 5წთ 25წმ |



*მსოფლიოს საწყლოსნო ჩემპიონატი ბარსელონაში კვირაზე მეტი ხანია, დაიწყო, მაგრამ მოცურავეები მხოლოდ გუშინწინ ჩახტნენ აუზში. მანამდე ბარსელონელ მოსეირეებს წყალში კენტად თუ წყვილად მხტომელები და სინქრონულად მოცურავე სირინოზებიართობდნენ. კარგა ხნის დაწყებულია წყალბურთიც, თუმც ერთადერთი საწყლოსნო თამაში ჯერ ადრეულ ეტაპზეა*

# ტორპედო გასროლამდე ჩაიძირა


ლიზელ ჯონსი ბედნიერებამ აატირა

**მაშ ასე,** კვირიდან სცენაზე გამოვიდნენ მოცურავები და კვირას არა და ორშაბათიდან კი თამამად შეუტიეს მსოფლიო რეკორდებს. 3 მსოფლიო რეკორდი ურიგო დასაწყისი ნამდვილად არაა. სარეკორდო ქისას თამასა ავსტრალიელმა ვაჟმა მეტიუ ველშმა მოხსნა, ვინაც 50 მეტრი ბატერფლაის სტილით 23,43 წამში დაფარა. საზოგადოდ ამ ნაკლებად ცნობილ ჯეელს ბატერფლაიში დიდი მიღწევებით არ იცნობდნენ. ის სხვა დისციპლინებში შედარებით ყოჩაღად გამოიყურებოდა, მაგრამ ბატერფლაის ფინალებშიც რეგულარულად მონაწილეობდა და აი შუშ გაამტვრია კიდეც.

მეორე რეკორდიც ავსტრალიამ ჩაიწერა. 18 წლის ოზმა გოგონამ ლიზელ ჯონსმა ოდენ 1 წუთი და 6,37 წამი დაახარჯა აუზის ბრასის სტილით გადაცურვა-გადმოცურვას (100 მეტრი) და ფინიშთან წყლიდან ამოყვინთულმა რომ შეიტყო, მსოფლიო რეკორდი დავამყარეო, ბარსელონის კრიალა აუზების კამკამა წყალს სიხარულის უმანკო ცრემლი აპკურა.

მოულოდნელად დამყარდა ორშაბათის მესამე და ბოლო რეკორდი, რომლის ავტორიც ასევე 100 მეტრის ბრასით მოცურავეა, მხოლოდ კაცებს შორის — იაპონელი კორეკე კიტახიმა. მან 100 მეტრი 59,79 წამში დაფარა.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ბებერი რუსი ზვიგენის ალექსანდრ პოპოვის გამარჯვება სხვა თანაგუნდელებთან ერთად 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში. ოთხმა რუსმა თავისუფალი სტილით მოცურავემ, რომელთაც მეოთხე კაცად სწორედ ბარსელონის ოლიმპიადის ტრიუმფატორი პოპოვი ედგათ, აჯობეს მთავარ კონკურენტ ამერიკელებს.

დამაინტრიგებელი გამოდგა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დისციპლინის, კაცებში 200 „თავისუფალი“ მეტრის ნახევარფინალებიც კი. თუმცა ისინი სულ სხვადასხვა ნახევარფინალებში ცურავდნენ მსოფლიოს უჩაუქესმა მოცურავემ იან ტორპმა და ჰოლანდიელმა პიტერ ვან დენ ჰოგენბანდმა ერთმანეთი წინასწარ გამოიწვიეს. ვნახოთ, რა მოხდება ფინალში, ნახევარფინალში კი ტორპმა ჰოლანდიელზე უარესი დრო აჩვენა.

**კოტე ყორშია**

# პაპი და ცეცხლი



რომის პაპი იოანე პავლე II ოლიმპიურ ჩირაღდანს შესცქერის, პაპს ამ დღეებში 2004 წლის საუნივერსიტეტო ოლიმპიური თამაშების დელეგაცია სწვევია და არა მხოლოდ სწვევია, სიმპოზიუმიც გამართულა კასტელგანდოლფოს რეზიდენციაში.





# ბურბონები იახტაზე



ჩამოცხა. ჰოდა, პალმა დე მალიორკას წყლებში გამოჩნდა აშლილი აფრები იახტა „აიფოსისა“, რომელიც ბრეიტლინგის XI რეისშიც ჩაერთო. იახტის ეკიპაჟი მთლიანად სამეფოა. ესპანეთის მეფე ხუან კარლოს ბურბონი, ტახტის მემკვიდრე ფელიპე და ინფანტა კრისტინას პატარა ვაჟი ხუან ვალენტინი „აიფოსის“ შკიპერ-ბოცმან-მესაჭენი ბრძანდებიან. მეფე ჩვევას არ ღალატობს და ყოველ ზაფხულს მოსინჯავს ხოლმე წყალს.



# ხელობა

ერთ დროს სტრიპტიზიორობა ახირება იყო: გადმოყვლებოდა ტიტველა ადამიანი ტიხარს და მოედანზე გამოვარდებოდა ხოლმე, ნახეთ, როგორები მასხიათ. ახლა სტრიპტიზიორობა პროფესიაა, დაიწერ სხეულზე რამე სარეკლამოს და ფულსაც გადაგიხდიან, მთავარია მოედანზე შეაღწიო. მარკ რობერტსი პროფესიონალი სტრიპტიზიორია, ჰოდა, ბარსელონაში მიმდინარე წყალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასულა და სინქრონული ცურვის ფინალის წინ გატანტალებულა აუზის კიდეზე.

# ყინული მზეში



ეს, რაც გაკეთდა, ნჰლ-ს კლუბ „ედმონტონ ოილერზის“ სურვილით გაკეთდა. ედმონტონის თანამეგობრობის სტადიონზე ყინული დაუგიათ და იქ მზეში ვარჯიშობს ნახსენები გუნდი. ერთ დროს ჰოკეი ღია ცისქვეშა თამაში იყო, ჰოდა, ნჰლ-ს ორი ყველაზე განთქმული კანადური კლუბი, „ედმონტონი“ და „მონრეალ კანადიენსი“ სწორედ ღია ცის ქვეშ გაითამაშებენ თავიანთ შიდაკანადურ მოლხინის თასს. ეს კლასიკად ქცეული თამაში 22 ნოემბერს გაიმართება, მანამდე კი ვარჯიშია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კულაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლეკაძე, ფატი ლევალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭურბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge